ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 22 ოქტომბერი, 2021

№199 (8728)

ფასი: 60 თეთრი

## საქართველოს პროკურატურამ გერმანულ მხარესთან თანამშრომლობით ტრანსნაციონალური დანაშაული გახსნა



გვ.5



გვ.5

## შორენა ბეგაშვილის შეყვარებულმა ანასტასია შატალოვას მკვლელი დაიქირავა?

რა ვერსიებზე მუშაობს გამოძიება

# „სააკაშვილმა ხელისუფლება ამოაყირავა“



შოთა მალაშხია: „ქართული ოცნება“ არც საზოგადოებას უნდა, არც პოლიტიკურ სპექტრს და არც საერთაშორისო პარტნიორებს“



გვ.4

## „სალომე ზურაბიშვილი დაფიქრდეს, სააკაშვილის მერე თავად არ მოუწიოს მის ადგილას ჯდომა“

შალვა ხაჭაპურიძე: „სააკაშვილმა ხომ არავის დაუჯერა და თავისი სისტემა თვითონვე მოუტრიალდა, ისე მოუტრიალდება „ოცნებასაც“



გვ.2

## „მიყვარხარ, საქართველო!“

სააკაშვილმა მხარდამჭერებს ციხის საშხაპე ოთახის ფანჯრიდან მიმართა გვ.4

## „გახარიასა და ანა დოლიძის ამომრჩეველი ხმას კალაძეს მისცემს“



ვახტანგ ძაბირაძე: „პატარა პარტიები ნაციონალურ მოძრაობასთან აიზილნენ“



გვ.3

## „მე არ მივდივარ ამ არჩევნებზე“



გვ.3



იაგო ხვიჩია: „არ ვიცი, რამდენად სწორია სააკაშვილის გუნდში თამაში. ეს მიშა-ბიძინას თამაშია“

## 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით საქართველომ სტრასბურის სასამართლოში მორიგი გამარჯვება მოიპოვა



გვ.2



გვ.3

## ირაკლი ღარიბაშვილი: „ანზორ მელიას წარმოდგენა არ აქვს, როგორ იმართება მუნიციპალიტეტი“

ISSN 1987-9385

4 რუსლან შამახია: „პოლიციამ გაფორმებული თოფები წამართვა“
სამეგრელოში ყოფილი ძალოვნები დააკავეს

5 „ნიღბიანმა რამდენიმეჯერ ესროლა და მერე შავი მანქანით გაიქცა“
ბათუმში მამაკაცი მოკლეს

5 თბილისში 11 ნარკორეალიზატორი დააკავეს

6 უკრაინის ექსპრემიერი დაუსწრებლად დააპატიმრეს

# „სალომე ზურაბიშვილი დაფიქრდეს, სააკაშვილის მერე თავად არ მოუწიოს მის ადგილას ჯდომა“

## შალვა ხაჭაპურიძე: „სააკაშვილმა ხომ არავის დაუჯერა და თავისი სისტემა თვითონვე მოუტრიალდა, ისე მოუტრიალდება „ოცნებასაც“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველი შალვა ხაჭაპურიძე პასუხობს.



*— ბატონო შალვა, როგორია ბოლო პერიოდის პოლიტიკური პროცესების თქვენეული შეფასება? მიხეილ სააკაშვილი კვლავ საპატიმროში რჩება. როგორც იურისტი, რას ფიქრობთ მის დაკავებაზე? ბევრი ამბობს, რომ ის უკანონო პატიმარია. რა სამართლებრივი გზები არსებობს მის გასათავისუფლებლად?*

— მე იურისტი გახლავართ, ამიტომ ამ საკითხს პოლიტიკური ჭრილიდან არ შევხედავ. ის საერთაშორისო შეფასებები, რომლებიც ჩვენი სასამართლოს მიმართ კეთდება, საერთო ჯამში, საქართველოს სასამართლოები შეფასებულია, როგორც სისტემა, რომელიც არ არის დამოუკიდებელი და მოქალაქეებს წართმეული აქვთ სამართლიანი სასამართლოს უფლება, იქნება ეს სააკაშვილი თუ სხვა პიროვნება. შესაბამისად, ჩვენ როდესაც ვამბობთ, რომ დააკავეს სააკაშვილი და ახლა უნდა შედგეს მისი სასამართლო პროცესი იმ სასამართლოში, რომელიც თავის დროზე მიშას მიერ იყო შექმნილი, თავისი მოსამართლეებიანად, მან ძალიან კარგად იცის, რა ტიპის მოსამართლეებთან გვაქვს საქმე. აი, ასეთი ტიპის სასამართლოს წინაშე უნდა წარდგეს.

*— მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლებას ითხოვენ. რა გზები არსებობს ამისთვის და არის თუ არა სააკაშვილი პოლიტპატიმარი?*

— იქ, სადაც ახლა მიმდინარეობს პროცესი, მოსამართლეს შეუძლია, გამოიყენოს გირაო, თავდებობა და ასე შემდეგ, მაგრამ იმ საქმეებზე, სადაც უკვე გამამტყუნებელი განაჩენია გამოტანილი, დღეს მოქმედი კანონმდებლობით ეს შეუძლებელია, თუმცა არის გამოსავალი, რომ სასჯელის სახე შეიცვალოს. ჯერ კიდევ კომუნისტების დროს იყო ეს შესაძლებელი. დავუშვათ, ადამიანს მისჯილი ჰქონდა სასჯელი, მაგრამ მოსამართლეს შეეძლო სასჯელის მოხდის გადავადება, მაგალითად, თუ არასრულწლოვანი შვილი ჰყავდა, შვილის სრულწლოვნებამდე, თუ ავად იყო, მის გამოჯანმრთელებამდე და ასე შემდეგ. იგივე შეუძლიათ მიშას ადვოკატებს....

*— გადავადება მოითხოვონ?*

— დიახ. ხომ აცხადებენ, რომ მას სისხლის დაავადება აქვს, ჯანმრთელობის პრობლემები აქვს, ამიტომ მიშას სასჯელშიც შეუძლია გამოიყენოს მოსამართლემ, სხვათა შორის, პირველი ინსტანციის და სულ არ სჭირდება ამას ზემდგომი ინსტანცია, რომ გადაევადოს სასჯელის მოხდა სრულ გამოჯანმრთელებამდე. ამას დასჭირდება ერთი სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა, რომელიც იტყვის, რომ პატიმარი არის მძიმე ავადმყოფი, რაც ხელს უშლის სასჯელის მოხდას და გადაევადოს სრულ გამოჯანმრთელებამდე, ანუ მიშა რომ გარეთ გამოვიდეს, ამის ორი ვარიანტია დღეს – ან საპროცესო შეთანხმება, აღიარებს სააკაშვილი დანაშაულს და პროკურატურას შეუძლია, მას გაუფორმოს საპროცესო შეთანხმება, ან გადავადება. აი, ეს მწირი ჩამონათვალია ამ გაუკულმართებულ სისხლის სამართლის კოდექსში.

*— შეწყალებაც შეიძლებოდა, თუმცა სალომე ზურაბიშვილმა კატეგორიულად განაცხადა, რომ არ შეიწყალებს.*

— კი, არსებობს შეწყალება და ეს პრეზიდენტის უფლებაა. არ დაავიწყდეს ქალბატონ სალომეს, რომ რაღაც ჯოჯოხეთი დაატრიალა, ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, ჯერ არ გამოძიებულა და ისე ჰყავს პირი შეწყალებული. ისე ნუ იზამს სალომე ზურაბიშვილი, რომ სააკაშვილის მერე თავად მოუწიოს მის ადგილას ჯდომა, თორემ შემდეგი პრეზიდენტიც იტყვის მერე, არ შევიწყალებო. აქ სულ სხვა რამეა საქმე.

*— რას გულისხმობთ?*

— ჩვენ ვხედავთ, რომ ხელისუფლების მხრიდან კეთდება შემდეგი სახის განცხადებები: წავიდეს სააკაშვილი პოლიტიკიდან, თუ არ გაჩერდება, მაშინ უარესს დავმართებთ, სასჯელს დავუმატებთ და ასე შემდეგ. ამ განცხადებებს ადვოკატები იმახსოვრებენ, იწერენ და მერე იტყვიან სტრასბურში, რომ პოლიტპატიმარია, აბა, არ იტყვიან?! როდესაც ქვეყანაში არ არსებობს სამართლიანი სასამართლო, პოლიტიკურად არის დაძაბული ვითარება, დღეს ისეა სიტუაცია, ვინ მოიგებს მეორე ტურებს, კაცმა არ იცის, ხვალ და ზეგ შეიძლება დაინიშნოს ვადამდელი არჩევნები და ნაციონალური მოძრაობა მოვიდეს ხელისუფლებაში. ჩვენ ვნახეთ გუშინ, ფაქტობრივად კოალიციური მთავრობა წარადგინა ნიკა მელიამ, რომელსაც საზოგადოების დიდი ნაწილი ემხრობა.

*— მეორე ტურამდე სააკაშვილს არანაირი შანსი არა აქვს, მაგრამ ნაციონალებმა თუ მოიგეს, მაშინ?*

— ამ შემთხვევაში პოლიტიკური სიტუაცია იწყებს აყირავებას, მივდივართ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებამდე. გახარიაც სერიოზული მოთამაშე გახდა. მას ანგარიში უნდა გაუწიონ. გარდა ამისა, ძლიერდებიან ისეთი პარტიები, როგორებიც არის „ლელო“ და მსგავსი ტიპის. ყველა ხვდება, რომ ერთი პოლიტიკური ძალა ვერ იმარჯვებს. მივდივართ კოალიციურ მმართველობამდე. ამ შემთხვევაში კი არც ერთი ოპოზიციური პარტია არ აიღებს იმას თავის თავზე, რომ სააკაშვილი ჰყავდეს ციხეში. სააკაშვილმა ხომ არავის დაუჯერა და მოუტრიალდა თავისი სისტემა თვითონვე, ისე მოუტრიალდება „ოცნებასაც“.



### „ამ დაპირისპირების გაგრძელება იქამდე მიგვიყვანს, რაც 90-იან წლებში იყო“

*— თქვენ ფიქრობთ, რომ არ უნდა იჯდეს სააკაშვილი ციხეში?*

— მე ვარ იურისტი და ამ ტიპის განცხადებას ვერ გავაკეთებ. მე რას ვფიქრობ, ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. სასამართლო რას ფიქრობს, აი, ამას აქვს დიდი მნიშვნელობა. მას გამამტყუნებელი განაჩენი აქვს გამოტანილი და, დღეს მოქმედი კანონმდებლობით, უნდა იჯდეს. სხვა მექანიზმებზე კი ზემოთ ვისაუბრე. ადამიანი უნდა გაასამართლოს სასამართლომ. რა მნიშვნელობა აქვს იმას, მე რას ვფიქრობ. სააკაშვილისთვის თუ ბრალის წაყენება უნდოდათ, მართლაც არსებობდა ისეთი საქმეები, სადაც რეალურად შეიძლებოდა ამის გაკეთება. დღეს მთავარი პრობლემა კი არის ის, რომ არ არის სამართლიანი სასამართლო. ჩვენ, როგორც იქნა, მივხვდით, რომ ამ ქვეყანაში ერთპარტიული მმართველობა ვერ ამართლებს.

*— ანუ თქვენც მოგეწონათ ნიკა მელიას მიერ შეთავაზებული მოდელი?*

— კოალიციური მმართველობა აუცილებელია. უნდა დასრულდეს ეს ორპოლუსიანობა, ამდენი ლანძღვა-გინება. ხომ ვხედავთ, რაც ხდება პოლიტიკურ ველზე, ჯერ იყო და ლანძღეს და თათხეს გახარია, მიწასთან გაასწორეს, რა ჯოჯოხეთში გაატარეს, მეცოდებოდა, ძვალი და ტყავი იყო დარჩენილი.

*— ახლა ხმებს ეხვეწებიან.*

— კი ბატონო, ახლა გამოდიან ურცხვად და თქვენმა ამომრჩეველმა ხმა ჩვენ მოგვცესო. რა ზნეობაა, რა ადამიანობა? კი, გავიგე, რომ პოლიტიკაა, მაგრამ ასე აქაც არ შეიძლება. ეს იმის ბრალია, რომ ქვეყანას სასამართლო არა აქვს და ცილისწამებისთვის ვერ წახვალ სასამართლოში. აბა, გვქონდეს სამართლიანი სასამართლო, მაშინ თუ იქნება ასე.

*— რა შედეგს ელოდებით მეორე ტურში?*

— პროგნოზი შეიძლება გააკეთო ისეთ ქვეყანაში, სადაც იცი, რომ არჩევნები ტარდება ობიექტურად, სადაც კრიმინალი უკან არ დასდევს ამომრჩეველს. არ ვიცი, რა იქნება, თუმცა ის განაცხადი, რომელიც გუშინ ოპოზიციამ გააკეთა, იყო საკმაოდ სერიოზული, ახალი და პროგრესული ნაბიჯი ქართულ პოლიტიკაში, ხოლო თუ ეს დაპირისპირება გაგრძელდა, მაშინ ამ ქვეყანას აღარაფერი უშველის. არ ვიცი, სააკაშვილს რას მოუხერხებენ, ამ პრობლემას როგორ მოუვლიან, მიშა მათთვის შიგნიდანაც ვაია და გარედანაც. თუ ყველაფერი ასე დარჩა, იცოდეთ, რომ ეს მიგვიყვანს იქამდე, რაც 90-იან წლებში იყო. სწორედ ამიტომ მოეწონა საზოგადოების დიდ ნაწილს ოპოზიციის გუშინდელი ნაბიჯი. მეორე ტური საკმაოდ რთულად საპროგნოზოა. „ოცნება“ შეეცდება, ყველაფერი გამოიყენოს, აბსოლუტურად ყველა გზა. შესაძლოა, ოპოზიციას წარმოდგენაც კი არ ჰქონდეს, ისეთი გზებიც კი.

# 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით საქართველომ სტრასბურის სასამართლოში მორიგი გამარჯვება მოიპოვა

2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით საქართველომ სტრასბურის სასამართლოში მორიგი გამარჯვება მოიპოვა.

ამის შესახებ იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგაძემ ბრიფინგზე განაცხადა. მისი თქმით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეებზე – „ბეკოევა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ და „შავლოხოვა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ – განჩინებები გამოაქვეყნა და საჩივრები დაუშვებლად გამოაცხადა.

მისი თქმით, ეს წარმოადგენს საერთაშორისო სასამართლოში საქართველოს კიდევ ერთ გამარჯვებას რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ.

– ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეებზე – „ბეკოევა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ და „შავლოხოვა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ – განჩინებები გამოაქვეყნა და საჩივრები დაუშვებლად გამოაცხადა. საქმეები აერთიანებს 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით, ცხინვალის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის მიერ საქართველოს წინააღმდეგ შეტანილი საჩივრების ნაწილს.

ევროპულმა სასამართლომ ზემოაღნიშნული საჩივრები დაუშვებლად ცნო.

სტრასბურის სასამართლომ გაიზიარა ქართული მხარის არგუმენტები, რომ ომის დროს ცხინვალის რეგიონი აქტიურად იბომბებოდა რუსეთის ფედერაციის მხრიდან და საქართველოს შეიარაღებული ძალები არ ახორციელებდა კონტროლს ცხინვალის რეგიონსა და მიმდებარე ტერიტორიაზე. შესაბამისად, შეუძლებელია რაიმე დარღვევა შეერაცხოს საქართველოს.



სასამართლომ, აგრეთვე, გაიზიარა ქართული მხარის არგუმენტები, რომ ხსენებული საჩივრები იყო აშკარად დაუსაბუთებელი, ვინაიდან ვერ იქნა წარმოდგენილი მინიმალური სტანდარტის მტკიცებულებები მათი პრეტენზიების გასამყარებლად.

სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად 2019-2020 წლებში საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ გენერალურ პროკურატურასთან, თავდაცვის სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან ერთად მოიძია და ევროპულ სასამართლოში წარადგინა ასობით მტკიცებულება შესაბამის სამართლებრივ არგუმენტაციასთან ერთად, რითაც დასტურდებოდა, რომ 2008 წელს საქართველოს არ დაურღვევია საერთაშორისო სამართლის ნორმები.

რუსეთის კოორდინაციით 2008-2009 წლებში საქართველოს წინააღმდეგ 3.300-ზე მეტი საჩივარი შევიდა, თუმცა საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებისა და სამართლებრივი პოზიციების საფუძველზე 2.800-მდე საჩივარი უკვე ამოირიცხა, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი, რადგან ევროპულ სასამართლოში წარდგენილი არ ყოფილა რაიმე მტკიცებულება, რომელიც საქართველოს მიერ ევროპული კონვენციის რომელიმე მუხლის დარღვევას დაადასტურებდა.

აგვისტოს ომის საქმეზე 2021 წლის 21 იანვრის ისტორიულ გადაწყვეტილებასთან ერთად, სადაც სტრასბურის სასამართლომ დაადგინა რუსეთის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის არაერთი მუხლის დარღვევა და დაადასტურა, რომ ცხინვალის რეგიონი და აფხაზეთი ოკუპირებულია რუსეთის მიერ, დღევანდელი განჩინებები წარმოადგენს საერთაშორისო სასამართლოში საქართველოს კიდევ ერთ გამარჯვებას რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ. ამ განჩინებებით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ საქართველოს მთავრობამ წარმატებით დაიცვა სახელმწიფოს და ქართული ჯარის ინტერესები საერთაშორისო სასამართლოში. გილოცავთ ყველას და მადლობა ყველას, ვინც ჩართული იყო ამ საქმეში“, – განაცხადა მინისტრმა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „გახარიასა და ანა დოლიძის ამომრჩეველი ხმას კალაძეს მისცემს“

## ვახტანგ ძაბირაძე: „პატარა პარტიები ნაციონალურ მოძრაობასთან აიზილნენ“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო ვახტანგ, რას იტყვით ნიკა მელიას მიერ წარდგენილ ჩრდილოვან კაბინეტზე? რამდენად მომხიბვლელი იქნება ეს შეთავაზება თბილისელი ამომრჩევლისთვის?***

– ელექტორალური თვალსაზრისით, არა მგონია, დიდი გარღვევა მოახდინოს ამ ფაქტმა. ამ პარტიების ამომრჩეველი ისედაც ოპოზიციის ამომრჩეველია. სიმართლე გითხრათ, ამ წარდგენის მთელი მოულოდნელობა და ხიბლი მამუკა ხაზარაძე და „ლელოა“. ალბათ, ბევრი არც იფიქრებდა, რომ მამუკა ხაზარაძე ნიკა მელიას მოადგილეობას დასთანხმდებოდა, მაგრამ მან ეს ნაბიჯი გადადგა.

ზოგადად, ჩრდილოვანი კაბინეტის ტრადიცია დასავლეთში ძალიან მიღებულია და იქ ცოტა სხვა დატვირთვა აქვს ამას, ჩვენთან – სხვა. ჩვენთან ჩრდილოვანი კაბინეტის დატვირთვა სრულიად გასაგებია – რაც შეიძლება მეტი ელექტორატის მოზიდვაა, თუმცა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ვფიქრობ, უფრო მართებული იქნებოდა, თუ მიზანი განსხვავებული ამომრჩევლის მოყვანაა არჩევნებზე, მაშინ, არჩევნების წინა ტურის პროცენტული მაჩვენებლებიდან გამომდინარე, ამ კაბინეტში წარმოდგენილი ყოფილიყვნენ გიორგი გახარიასა და ანა დოლიძის კანდიდატები ან მათი წარმომადგენლები, რადგან ამ ორმა ახალმა პარტიამ მნიშვნელოვანი შედეგები დადო არჩევნებზე. გახარიამ მიიღო დაახლოებით რვა პროცენტი, დოლიძემ – ოთხი პროცენტი.



***– თქვენ ამბობთ, რომ მეორე ტურის ბედს გახარიასა და დოლიძის ამომრჩეველი გადაწყვეტს?***

– დიახ. ეს ხალხი გადაწყვეტს. სწორედ ამ ორი კანდიდატის ამომრჩევლის საარჩევნო ურნასთან მიღებული გადაწყვეტილება იქნება გადამწყვეტი საბოლოო ჯამში.

***– ორივე კანდიდატის პოზიცია ცნობილია. ისინი თავიანთ ამომრჩეველს არც ერთის მხარდაჭერისკენ არ მოუწოდებენ – ჩვენ გონიერი ამომრჩეველი გვყავს და გადაწყვეტილებას თვითონ მიიღებენო. როგორ ფიქრობთ, ვინ შეიძლება იყოს მათი არჩევანი?***

– ანა დოლიძის მხარდამჭერების ნახევარი მხარს დაუჭერს არა ნიკა მელიას, არამედ – კახა კალაძეს. იმავეს იზამს გახარიას ამომრჩეველი. ამ ამომრჩევლის ხმები არ წავა ნაციონალურ მოძრაობასთან, „ქართულ ოცნებასთან“ უფრო წავა, თუმცა ასეთი მკვეთრად პოლარიზებული არჩევანის გამო, სულაც არ გამოვრიცხავ, რომ ეს ხალხი საერთოდ სახლში დარჩეს და არც მივიდეს არჩევნებზე. შეიძლება, ამომრჩევლის ამ ნაწილს არ უნდა „ქართული ოცნებისთვის“ ხმის მიცემა, მაგრამ არც ნიკა მელიასთვის უნდა ხმის მიცემა და ამიტომ ის არ წავა არჩევნებზე. ეს ეხება გახარიასა და დოლიძის ამომრჩეველს. ამდენად, ელექტორატის ამ ნაწილიდან, ძალიან მიზერული შანსია, ნიკა მელიამ რაიმე ხმები აიღოს.



***– ჩრდილოვანი კაბინეტის პრეზენტაციას რომ დავუბრუნდეთ, იგრძნობოდა, რომ ეს არ არის მხოლოდ ადგილობრივ დონეზე გაკეთებული მოდელი, რომ ნაციონალური მოძრაობა მზად არის კოალიციური მმართველობისთვის. შეიძლება, ეს კოალიცია საპარლამენტო არჩევნებზე ამ ფორმით გავიდეს?***

– ნაციონალური მოძრაობის გარდა, თითოეული ამ პარტიის პერსპექტივა დამოუკიდებლად მომავალ არჩევნებზე თითქმის ნულის ტოლია. ისინი ამას გრძნობენ. ამ პარტიებმა, განსაკუთრებით „ლელომ“, ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ის შედეგი მიეღოთ ადგილობრივ არჩევნებზე, რომელიც მიიღეს, შეცდომას შეცდომაზე უშვებდნენ. „ლელოს“ დღეს, უბრალოდ, სხვა გზა არ აქვს.

ბევრად უფრო სწორი იქნებოდა, პატარა პარტიებს ცალკე გაერთიანება შეექმნათ და ნაციონალურ მოძრაობასთან არ აზელილიყვნენ. ამით ისინი შეძლებდნენ ე.წ. მესამე ცენტრის ფორმირებას, თუმცა ამ პატარა პარტიებმა ამის საპირისპიროდ ყველაფერი გააკეთეს და ნაციონალურ მოძრაობაში აიზილნენ. ეს არის ის რეალობა, რომელსაც დღეს ვხედავთ. დღეს ეს პარტიები უკვე განულებული არიან, რადგან ნაციონალური მოძრაობის დანამატებად იქცნენ. თუ მელია მოიგებს, ეს მოგება მიეწერება არა ამ პარტიებს, არამედ – ნაციონალურ მოძრაობას.

ისე, ჩვენთან ხომ ყველაფრის პროფანაცია ხდება. თავისთავად კოალიციური მთავრობა არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე დგება და არა – წინასაარჩევნოდ. ის, რაც შემოგვთავაზეს, არის საარჩევნო გაერთიანება, რომელიც საქართველოში 2003 წელსაც იყო და 2012 წელსაც. ამისგან სრულიად განსხვავებული რამ არის კოალიციური მმართველობის მოდელი, რომელიც არის დასავლეთში, მაგალითად, გერმანიაში, ისრაელში და ა.შ. თუ ისრაელის მაგალითს ავიღებთ, ვინაიდან არც ისე მარტივია განსხვავებული იდეოლოგიის პარტიებს შორის თანხმობის მოძებნა, ისინი ხშირად ვერ თანხმდებიან მინისტრთა კაბინეტის ფორმირებაზე და ამიტომ არის არჩევნები არჩევნებზე. ამიტომაც კონსტიტუციონალისტები ხშირად არასტაბილურობის საფუძვლად კოალიციურ მთავრობას მიიჩნევენ, თუმცა ეს უკვე სხვა საუბრის თემაა.

# „მე არ მივდივარ ამ არჩევნებზე“

## იაგო ხვიჩია: „არ ვიცი, რამდენად სწორია სააკაშვილის გუნდში თამაში. ეს მიშა-ბიძინას თამაშია“

იაგო ნაცვლიშვილი

ნიკა მელიამ ჩრდილოვანი კაბინეტი დაასახელა – გუნდი, რომელიც მისი გამარჯვების შემთხვევაში თბილისს უხელმძღვანელებს. მან მერის მოადგილეებად სრულიად განსხვავებული პოლიტიკური პლატფორმის წარმომადგენლები დაასახელა – მამუკა ხაზარაძე, ზურაბ ჯაფარიძე, ელენე ხოშტარია და ირაკლი აბესაძე. ასევეა სხვა პოზიციებზეც.

რას მოუტანს მეორე ტურის წინ მელიას ეს წარდგენა? რამდენად სწორია მათი ტაქტიკა, როდესაც წინასწარ ქმნიან ზეიმის განწყობას და როგორ ფიქრობს, რამდენად წარმატებული ვიცემერი იქნება მისი ყოფილი თანამებრძოლი ზურაბ ჯაფარიძე? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „გირჩის“ თავმჯდომარე **იაგო ხვიჩია** საუბრობს.

***– მელიამ წარადგინა ჩრდილოვანი კაბინეტი. როდესაც სოციალურ ქსელებში ოპოზიციის წარმომადგენლების პოსტებს გადავხედე, თითქოს უკვე ზეიმობენ გამარჯვებას. რამდენად სწორად არის არჩეული ეს ტაქტიკა?***

– მაგას ვერ აუკრძალავ ადამიანებს. თუ ადამიანს საკუთარი ქმედება გამარჯვებად მიაჩნია, მას უფლება აქვს, იზეიმოს. მეორე საკითხია, დაიჯერებ თუ არა ამ ზეიმს. დარწმუნებული ვარ, მრავალი ადამიანისთვის წარმატებაა ბევრი ოპოზიციონერი ლიდერის ერთად შეგროვება და არჩევნებზე გასვლა. აქედან გამომდინარე, მგონია, რომ ეს სუბიექტურ აღქმაზეა დამოკიდებული.

***– რამდენად სწორი ტაქტიკა აირჩიეს-მეთქი, მაგას ვკითხულობ.***

– ჩემი აზრით, მაგას საბოლოო ჯამში მაინც არჩევნებზე გაეცემა პასუხი და ეს მოგვცემს შეფასების საშუალებას, მაგრამ, ზოგადად, კახა კალაძის უპირატესობა პირველი ტურის შემდეგ ისეთი იყო, რომ ძალიან სარისკოა იმ ფსონების დადება, რომლებიც დაიდო, რომ მთელი ოპოზიციური სპექტრი ერთად განლაგდა. არ გვაქვს პასუხი, რა ხდება, თუ ვერ მოიგეს.

თუ მოიგებ, „ქოცები“ განდევნე, ყველაფერი კარგად არის და ა.შ. ეს არის ერთი სცენარი, ხოლო თუ ვერ მოიგე და ყველა ოპოზიციური პარტია ფაქტობრივად აღმოჩნდა წაგებულის მხარეს, მაშინ, მგონი, პრაგმატულად სწორი ნაბიჯი არ იქნება, რადგან გაგრძელებები არ მოჰყვება.

***– სარისკო თამაშში ჩაერთვნენ?***

– თავისთავად ცხადია, სარისკოა, როდესაც ძალიან სწევ მაღლა თამასას და გამარჯვება-არგამარჯვებას უკავშირებ ერთ ადგილას – თბილისში გამარჯვებას. რომ ვერ მოიპოვო, მაშინ რას შვრები?! სიტყვაზე, სხვაგან რომ გაიმარჯვო, ის არ არის გამარჯვება და მხოლოდ ეს არის?!

მე ზოგადად არ მგონია, რომ ეს იყოს ყველაზე პრაგმატული სვლა, იმიტომ, რომ განსხვავებული ადამიანების ერთად დალაგება ყოველთვის არ ნიშნავს მათი ხმების მატებას. პირიქით, ხდება მათი გულის აცრუება და სინამდვილეში ორპოლუსიანობის კიდევ უფრო მეტად გაღრმავება, რაც წარმატების გზა არ მგონია „ქართული ოცნების“ მმართველობის წინააღმდეგ.




***– ზურაბ ჯაფარიძე, ელენე ხოშტარია, მამუკა ხაზარაძე, ირაკლი აბესაძე – ეს სრულიად განსხვავებული პოლიტიკური ტიპაჟის მქონე ადამიანები წარდგენილი არიან მერის მოადგილეებად. რას ფიქრობთ?***

– მიჭირს, წარმოვიდგინო. საკმაოდ რთული ამოცანაა, მაგრამ ისეთ დაშვებას უკავშირდება მათი ერთად ყოფნა – არჩევნებში გამარჯვებას... ამიტომ გადავწყვიტე, რომ სანამ წარმოვიდგენ ამათ თანამშრომლობას, იქამდე დაველოდო, იქნებ არც არის წარმოსადგენი და ტყუილად ვიხარჯები, ამიტომ ჯერ არჩევნების შედეგებს დაველოდოთ და მერე წარმოვიდგინოთ. თუმცა, თავისთავად ცხადია, ძალიან ჭრელი ჯგუფია, რომელსაც ასაღებენ, რომ თითქოს ეს არის კოალიციური მმართველობა და ა.შ. მაგრამ, ამ პირობებში, რომელიც არჩევნების შედეგებმა გვაჩვენა, ჩემი აზრით, გასაგებია, რომ რეალურად ორი პარტიაა – „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა. თუ ნაბიჯს დგამ რომელიმე მათგანისკენ, ეს ნიშნავს, რომ ავტომატურად ერთის მხარეს იჭერ და რაღაცა ბრძოლის მონაწილე გამოდიხარ.

***– ზოგადად, როგორ შეაფასებდით ზურა ჯაფარიძის კანდიდატობას, რომელიც თქვენი ყოფილი თანამებრძოლია, რამდენად სწორი იყო პირველ ეტაპზე დასახელებული ცოტნე კობერიძის ჩახსნა და უფრო მძიმეწონიანი ფიგურების ჩართვა?***

– მე ამაზე თავის დროზე გავაკეთე კომენტარი, ვთქვი, რომ ოპოზიცია ამ არჩევნებს დუბლშემადგენლობით თამაშობს და ეს არ არის სწორი ტაქტიკა. ამის გამო გამაკრიტიკეს და, მგონი, ბევრ ადამიანს ვაწყენინე კიდეც, მაგრამ რეალურად, ვფიქრობ, გასაგები გახდა, რომ თამაში იმ ფაზაში შევიდა, როდესაც ძირითად მოთამაშეები შემოიყვანეს. მე არ ვიცი, ინდივიდუალური გადაწყვეტილებაა – სწორია თუ არა მიხეილ სააკაშვილის გუნდში თამაში, რადგან, ჩემი აზრით, ამის გარჩევა არ ღირს.

***– მწვრთნელი სააკაშვილია?***

– ეს მიშა-ბიძინას თამაშია – რასაც ჩვენ ვუყურებთ და რაც ახლაც მიმდინარეობს. როგორც ჩანს, მეორე ტურამდე გაგრძელდება. მე მგონია, რომ წარმატება სხვა რამეა, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის სხვა რამე იყო და არა ნაციონალურ მოძრაობასთან კოალიციის შექმნა.

***– თქვენი აზრით, იქნება ზურა ჯაფარიძე წარმატებული ვიცემერი?***

– არ ვიცი, ვერ გეტყვით. მოდით, აქედან დავიწყოთ – საერთოდ იქნება თუ არა ვიცემერი. ჯერ იქამდე მივიდეთ და მერე დავაკვირდეთ სიტუაციას. როგორ გითხრათ ახლა, რადგან ვიცემერის წარმატება იმდენ რამეზეა დამოკიდებული, ვფიქრობ, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია არ არის საკმარისი, რომ არა მხოლოდ ზურაბ ჯაფარიძის, არამედ ზოგადად ვინმეს მიმართ ვარაუდები გამოვთქვათ, წარმატებული იქნება, წარუმატებელი ან იქნება თუ არა საერთოდ.

***– მგონი, თქვენ ამ არჩევნებზე კალაძეზე დებთ ფსონს. ასეა?***

– მე არ მივდივარ ამ არჩევნებზე და არც ფსონის დადებას ვაპირებ.

***– ხმის მიცემასაც არ აპირებთ?***

– არა, ვის უნდა მივცე ხმა?! ჩვენი პოზიცია არის ის, რომ ეს არის ერთიანი თამაში. ეს არის ერთიანი თამაშის ნაწილი და არ მინდა ამ თამაშში მონაწილეობა. შესაბამისად, ჩვენთვის დიდი განსხვავება არ არის იმაში, რომელი კანდიდატი გაიმარჯვებს და რა მოხდება ამ არჩევნებში. ეს არაფრის გადამწყვეტი არ არის. ერთიან თამაშში ვრჩებით, რომლისგანაც გამოსვლა მგონია სწორი და არა ის, რომ ვთქვათ, ამ თამაშში შიგნით ფიგურები ასე ან ისე იცვლებოდნენ.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „ანზორ მელიას წარმოდგენა არ აქვს, როგორ იმართება მუნიციპალიტეტი“

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სამეგრელოში ვიზიტის დროს განაცხადა, რომ ზუგდიდი მზად არის 30 ოქტომბერს არჩევნებში „ქართული ოცნების“ გასამარჯვებლად.

მან ნაციონალური მოძრაობის კანდიდატ ანზორ მელიაზეც ისაუბრა და თქვა, რომ მან არ იცის, როგორ იმართება მუნიციპალიტეტი, ამიტომ ზუგდიდს მამუკა წოწორია მოიგებს.



– ზუგდიდში არის იმის მზაობა, რომ 30 ოქტომბერს ჩვენმა ღირსეულმა კანდიდატმა დიდი უპირატესობით გაიმარჯვოს. ამ ქალაქს სხვა არჩევანი არ აქვს. ზუგდიდმა კარგად იცის სიმართლისა და ტყუილის ფასი. შევახსენებ ყველა ზუგდიდელს, რომ სწორედ ნაცმოძრაობის ხელისუფლების დროს, ქალაქში თარეშობდნენ ის კრიმინალები, რომლებიც დღესაც ცდილობენ ხელისუფლებაში დაბრუნებას.

ანზორ მელია შეიძლება დამსახურებული ექიმია, მაგრამ მაინტერესებს, რა მოტივაცია აქვს ამ კაცს. როგორ უნდა მართოს ზუგდიდი, რომელმაც არ იცის ბიუჯეტი, რამდენი სოფელია ამ ქალაქში, საერთოდ წარმოდგენა არ აქვს, როგორ იმართება მუნიციპალიტეტი. ამ დროს კი ჩვენ გვყავს ძალიან გამოცდილი და უწესიერესი კაცი – მამუკა წოწერია. ის არ შეარცხვენს ამ ქალაქს.

მინდა ვთხოვო თითოეულ ჩვენს მხარდამჭერს, რომ არც ერთი არ დარჩეს სახლში არჩევნების დღეს, ყველანი არჩევნებზე, რომ 30 ოქტომბერს, საბოლოოდ დავუსვათ ბეჭედი ნაცმოძრაობის ბოგინს, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

# „სააკაშვილმა ხელისუფლება ამოაყირავა“

## შოთა მალაშხია: „ქართული ოცნება“ არც საზოგადოებას უნდა, არც პოლიტიკურ სპექტრს და არც საერთაშორისო პარტნიორებს“

მარიამ მჭედლიშვილი

**თბილისის მერობის ოპოზიციონერმა კანდიდატმა ნიკა მელიამ ადგილობრივი არჩევნების მეორე ტურის წინ კოალიციური მთავრობის შემადგენლობა წარმოადგინა. კანდიდატები სხვადასხვა ოპოზიციური პარტიიდან არიან. ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის თავმჯდომარეს, ყოფილ დეპუტატს შოთა მალაშხიას.**

***– რის მანიშნებელია ნიკა მელიას მიერ წარმოდგენილი კოალიციური მთავრობის მონახაზი?***

– ეს არის ის, რაც უნდა იყოს მომავალში. ყოველთვის ვსაუბრობდი ოპოზიციის ერთიანობის აუცილებლობაზე. ამ შემთხვევაში ერთიანობა შედგა. ამანაც აჩვენა, როგორ უყურებს ყველა „ქართულ ოცნებას“.

***– როგორ?***

– „ოცნება“ და „ოცნების“ ხელისუფლება კეთროვანი გახდა. „ქართული ოცნება“ არც საზოგადოებას უნდა, არც პოლიტიკურ სპექტრს და არც საერთაშორისო პარტნიორებს. ნახეთ, რა ხდება „ოცნების“ მოსვლის მეცხრე წელს – ტერიტორიული მთლიანობა არავის ახსოვს, მოსახლეობა სრულიად გაღატაკდა, ეკონომიკა უკან-უკან წავიდა, სტრუქტურები მოიშალა, საქართველო გაქრა საერთაშორისო რადარებიდან. ამ დროს რა არის ხელისუფლების მთავარი მიზანი?! ლამის ათი წელიწადია, ქვეყანას მართავენ და ამათი მთავარი ამოცანა ისევ ნაციონალური მოძრაობის დასრულებაა, თან უცხოელ პარტნიორებსაც უტევენ. ნახეთ, როგორ უხეშად მოიხსენიებს პრემიერი ღარიბაშვილი ევროპარლამენტარებს! უცხოელი პიარმენეჯერი რომ ჰყავს „ოცნებას“, ისიც ვერაფერს შველით. მისი სიძულვილზე დაფუძნებული მეთოდები არ მუშაობს. ამ პიარინსტრუმენტებმა ხალხს „ოცნება“ უფრო შეაძულა.

***– მომავალში კოალიციური მმართველობა და მრავალპარტიულობა გარდაუვალია?***



– სწორედ ამიტომ ვთქვი, რომ დედაქალაქში დაიწყო ის, რაც იქნება მომავალში. კოალიცია ნიშნავს სხვების აზრის გათვალისწინებას, მათ შორის მათი პოზიციებისა, ვინც არჩევნებზე ნაკლები პროცენტი აიღო. ნაკლებრეიტინგული პარტიები აუცილებლად უნდა იყვნენ აქტიურები. მათ უნდა მოთოკონ ამბიციები. პიროვნულსა და პარტიულზე მაღლა უნდა დააყენონ ქვეყნის ინტერესები. თუ ამას იზამენ, რეიტინგი აუმაღლდებათ. თუ წვრილმან ინტერესებსა და უზომო ამბიციებს გადაჰყვებიან, ამას შეეწირებიან. ამ ეტაპზე საჭიროა ოპოზიციის ერთიანობა იმისთვის, რომ ქვეყანას კეთროვნები მოვაშოროთ. რა სტრუქტურებიც იყო აწყობილი, მოშალეს. სუსი გადაიქცა ბუსსად ანუ პირადად ბიძინას უსაფრთხოების სამსახურად. ხელისუფლებაში ყველა გადასულია მის მომსახურებაზე. ღარიბაშვილი და კობახიძე მუდმივად იმის ცდაში არიან, თუ რით ასიამოვნონ ბიძინა ივანიშვილს. მათი კიდევ ერთი საზრუნავია ფულის შოვნა. როცა კეთროვნებს მოვაშორებთ ქვეყანას, შემდეგ ოპოზიციაში კონკურენცია დაიწყება. ამ მომენტში აუცილებელია ერთიანობა. ყოველთვის მომხრე ვიყავი დანიური მოდელისა, როცა არჩეული მერი ხდება მენეჯერი და არა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი.

***– ნიკა მელიამაც თქვა, რომ თუ არჩევნებს მოიგებს, პარტიის თავმჯდომარეობიდან გადადგება.***

– ეს სწორი მიმართულებაა. დანიაში მერებს ირჩევენ პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, შემდეგ კი არჩეულები ტოვებენ პარტიებს. ეს მიზანშეწონილია იმიტომაც, რომ მერის უფლებამოსილების ვადა ხშირად არ ემთხვევა პარლამენტის ვადას.

***– მეორე ტურში ხმების დაცვის მხრივ როგორი სიტუაცია იქნება, თქვენი აზრით?***

– ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ „ქართულ ოცნებას“ ძალიან გაუჭირდება გაყალბება. არჩევნების ბედი არჩევნებამდე წყდება. ისეთი განწყობაა, რომ „ოცნების“ კოორდინატორებსაც გაუძნელდებათ კარდაკარ სიარული და მოკრიმინალო „ნასედკებსაც“ – ხალხზე ზეწოლა. „ოცნებას“ არჩევნები მარტივ მათემატიკურ ციფრებამდე დაჰყავს – რამდენს ჩამოართვეს პასპორტი, რამდენი დააშინეს და ა.შ. არადა, მთავარი ხალხის განწყობაა.

***– ითვლება, რომ ოპოზიციის წარმატება გავლენას მოახდენს დაპატიმრებული მესამე პრეზიდენტის მომავალზე.***

– რასაკვირველია. შეიძლება ითქვას, რომ მეორე ტურში რეფერენდუმი გრძელდება. ადგილობრივი არჩევნების მოგება ოპოზიციისთვის ყველაზე რთულია. თუ გავითვალისწინებთ გაყალბებას, დაშინებასა და სხვა, გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ოპოზიციამ პირველი ტური მოიგო. მეორე ტურში გაყალბება უფრო გაჭირდება. ამ ყველაფერში გადამწყვეტი როლი შეასრულა მიხეილ სააკაშვილმა. სააკაშვილმა სიტუაცია კი არ შეცვალა, ხელისუფლება ამოაყირავა.

***– ბევრი დარწმუნებულია, რომ მისმა ჩამოსვლამ „ოცნების“ ამომრჩევლის მობილიზაციაც მოახდინა.***

– არა, ასე არ არის. „ქოცების“ მცირერიცხოვანი ამომრჩეველი ისედაც მობილიზებული იყო. მესამე პრეზიდენტმა უარი თქვა გავლენაზე, თანამდებობაზე, კომფორტზე უკრაინაში. მან ეს გააკეთა ქვეყნისათვის. სააკაშვილს გული სტკივა, რომ ინგრევა მის მიერ შექმნილი სახელმწიფო, წყალში იყრება მის მის გაკეთებული საქმეები. ეს არის თავგანწირული მოქმედება. ბუნებრივია, რომ სააკაშვილი ჩამოვიდა მაშინ, როცა ტარდება რეფერენდუმი. უცხოეთში მოღვაწე ყველა სახელოვანი და უნიჭიერესი ქართველი, დემნა გვასალიათი დაწყებული, სხვებით დამთავრებული, მხარს უჭერს სააკაშვილს. სხვა ხელისუფლება სააკაშვილისნაირ პიროვნებას ქვეყნისათვის გამოიყენებდა. ის რომ ჩარეულიყო, აქამდე ვაქცინაციის ტემპით ისრაელს დავეწეოდით. აღარაფერს ვამბობ სხვა სფეროებზე. მან წამოიწყო ანაკლიის მშენებლობა, რომელიც შემდეგ ჩააგდეს. სააკაშვილი საუბრობდა ანაკლიის, ლაზიკის, ფოთის, ბათუმის განვითარებაზე. ეს შექმნიდა ახალ სამუშაო ადგილებს და განავითარებდა ეკონომიკას.

***– თუ სიტუაცია ამოყირავებულია, მაშინ, ვადამდელი არჩევნები გარდაუვალი ხდება?***

– ცხადია. პარლამენტი ისედაც არ ასახავს რეალობას. წარმოიდგინეთ, რა მოხდება შემდეგ! ალბათ, მხოლოდ „ოცნების“ დეპუტაცია შემორჩება პარლამენტს. ეს არ იქნება ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი. 2024 წლამდე ის ვერ მიატანს. თუ მაინცდამაინც დეპუტატებად თვლიან თავს, სადმე ცალკე შეიკრიბონ. მათ უნდა დაენიშნოთ ფსიქიატრი. ასეთი მდგომარეობა ტურისტებსაც დააინტერესებთ. ასეთი არაადეკვატური „პარლამენტის“ სანახავად ისინი საქართველოს მოაწყდებიან.

# რუსლან შამახია: „პოლიციამ გაფორმებული თოფები წამართვა“

## სამეგრელოში ყოფილი ძალოვნები დააკავეს

ხელისუფლებამ სამეგრელოში ყოფილი ძალოვნების წინააღმდეგო სპეცოპერაციების სერია დაიწყო.

20 ოქტომბერს, გვიან ღამით, ხობში საგანგებოდ ჩავიდნენ და ოპერაციას ხელმძღვანელობდნენ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე შალვა ბედოიძე და კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი მამუკა ჭელიძე.

დაკავებულია ყოფილი ძალოვანი ლექსო რაფავა, რომელსაც გვიან ღამით სახლში შეუვარდნენ და, ნაციონალური მოძრაობის მტკიცებით, ავტომატურ ცეცხლსასროლ იარაღთან ერთად, ხელყუმბარაც დაუდეს.

ჩხრეკა ჩატარდა პოლიციის მაიორ რუსლან შამახიას სახლშიც. წაღებულია მისი კუთვნილი იარაღი, რომლის ტარების უფლებაც მას უკვე წლებია, აქვს.

რუსლან შამახია მომხდარს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურს უკავშირებს და აღნიშნავს, რომ ყოფილი ძალოვნების მიმართ დევნა დაიწყო, რადგან ისინი ხელისუფლებას არჩევნების გაყალბებაში ხელს უშლიან.

შამახიამ ლექსო რაფავას დაკავებაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მას პოლიციამ ცეცხლსასროლი იარაღი და ხელყუმბარა „ჩაუდო“.

– მქონდა ინფორმაცია, რომელმაც გაამართლა, ლექსო რაფავა დააკავეს და მისგან ამოღებულია ცეცხლსასროლი იარაღი და ხელყუმბარა, რომელიც ჩაუდეს და არის მაგის მოწმეები, ოჯახის წევრები. არ ვიცი, ეს რას ემსახურება, მაგრამ ვხვდები, რომ ეს არის არჩევნები, ჩვენ მათ ხელს ვუშლით კარუსელების გაკეთებაში, პასპორტები და მთელი კასკადია გაყალბებების.



ჰქონდა მიყურადება ჩემს სახლს, ოჯახს, გაჩხრიკეს კიდეც. როგორც ოჯახის წევრი მეუბნება, წაღებულია სანადირო თოფები, რომლებიც გაფორმებულია, – თქვა რუსლან შამახიამ.

ოპოზიციაში ამბობენ, რომ პოლიციის მიზანი ამომრჩევლის დაშინებაა.

– როგორ შეიძლება, ადამიანს ხელყუმბარა ჩაუდო, მიხვიდე ერთ-ერთ აქტივისტთან და დაიჭირო, ეს მაშინ, როდესაც 1 წელი გავიდა, რაც მილიონი წაიღო ესებუამ და ის არ დაუჭერიათ. ესენი სულს ლაფავენ და იკბინებიან ახლა. მთავრობას მივმართავ, დაწყნარდით, წაგებულები ხართ, ზუგდიდი წააგეთ. ან ჩემს კონკურენტს როგორ სძინავს სახლში, ასეთ სიბინძურეებს რომ სჩადიან, მოვიდეს და დამიდგეს გვერდით, – თქვა ზუგდიდის მერობის საერთო ოპოზიციურმა კანდიდატმა ანზორ მელიამ.

21 ოქტომბერს ყოფილი ძალოვანი, გია დათიაშვილი, საკუთარ სახლში დააკავეს.

ადვოკატის თქმით, ყოფილ პოლიციელს ტყვიები ჩაუდეს. მისივე მტკიცებით, სამართალდამცავებმა დათიაშვილს უთხრეს, რომ „პატივისცემის ნიშნად ნარკოტიკს არ ჩაუდებდნენ“.

გია დათიაშვილი დაკავებას პოლიტიკურ შურისძიებას უკავშირებს. ირკვევა, რომ ეს უკანასკნელი ზუგდიდში დაკავებულ ყოფილ პოლიციელებთან ერთად, 14 ოქტომბერს, ოპოზიციის აქციაზე იმყოფებოდა.

– სახლში შეუვარდნენ, ჩაუდეს ტყვიები, უთხრეს, თქვენ, როგორც ყოფილ პოლიციელს, ნარკოტიკს არ გაკადრებთო. სახლში მარტო იმყოფებოდა. ელოდებოდნენ, როდის დატოვებდნენ ოჯახს დედა და ძმა, რომლებთან ერთადაც ცხოვრობს დაკავებული.

ყოფილი ძალოვანია, ოპოზიციისა და ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერია. 14-ში, ზუგდიდში დაკავებულ პირებთან ერთად, ოპოზიციის აქციაზე იმყოფებოდა, – აცხადებს ადვოკატი.

# „მიყვარხარ, საქართველო!“

## სააკაშვილმა მხარდამჭერებს ციხის საშხაპე ოთახის ფანჯრიდან მიმართა

სპეციალური პენიტენციარული სამსახურის ინფორმაციით, საქართველოს მესამე პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს საკანი არ შეუცვლია და იგი იმ საკანში იმყოფება, სადაც დაწესებულებაში შესახლებისას მოთავსდა.

როგორც სამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, მიხეილ სააკაშვილს 21 ოქტომბერს შხაპის მიღება უწევდა და შესაბამისი მოთხოვნის შემდეგ დაწესებულების მოსამსახურეებმა საშხაპე ოთახში გაიყვანეს, სადაც მათ შესვლა კანონით ეკრძალებათ. უწყება განმარტავს, რომ მიხეილ სააკაშვილმა სწორედ ამ გარემოებით ისარგებლა და დაწესებულების გარეთ შეკრებილებს გადაძახილით მიმართა, რითაც დაარღვია დაწესებულების შინაგანაწესი.

„მედიასაშუალებებით გავრცელებულ კადრებთან დაკავშირებით განვმარტავთ, რომ ბრალდებულ/მსჯავრდებულ მიხეილ სააკაშვილს საკანი არ შეუცვლია და იმყოფება იმ საკანში, სადაც თავდაპირველად მოთავსდა.

ინფორმაციისთვის: დაწესებულების დებულების თანახმად, მიხეილ სააკაშვილს დღეს შხაპის მიღება უწევდა და შესაბამისი მოთხოვნის შემდეგ დაწესებულების მოსამსახურეებმა საშხაპე ოთახში გაიყვანეს.

საშხაპე ოთახში დაწესებულების მოსამსახურეებს შესვლა კანონით ეკრძალებათ და ისინი პატიმარს ოთახის გარეთ, დერეფანში ელოდებოდნენ. მიხეილ სააკაშვილმა სწორედ ამ გარემოებით ისარგებლა და დაწესებულების გარეთ შეკრებილებს გადაძახილით მიმართა, რითაც დაარღვია დაწესებულების შინაგანაწესი; კერძოდ, „№12 პენიტენციარული დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 1 მაისის №526 ბრძანების 79-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, ხმაური ან სხვაგვარი ქმედება, რომელიც არღვევს წესრიგს და ხელს უშლის დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას, მიიჩნევა დისციპლინურ დარღვევად, არღვევს დაწესებულების დებულებას, ზიანს აყენებს წესრიგსა და უსაფრთხოებას.

დაწესებულების მოსამსახურეებმა მიხეილ სააკაშვილის უკანონო ქმედება მყისიერად აღკვეთეს და კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი რეაგირება მოახდინეს“, – აღნიშნულია განცხადებაში.

თავად სააკაშვილმა მომხდარის შესახებ ფეისბუქში დაწერა:

„დიდი მადლობა იმ ადამიანებს, რომლებიც დღეს გავლით იყვნენ ციხესთან და ბედმა გამიღიმა, შევძელი, მათთვის დამეყვირა – „მიყვარხართ“ და იმედია, ამ სიტყვამ თქვენს ყურამდე მოაღწია. დიახ, მიყვარხართ ყველა თავისუფლებისმოყვარე ქართველი და მიყვარხარ, საქართველო! შეიძლება, ყოველდღე ფიზიკურად ვსუსტდებოდე, მაგრამ მორალურად ნამდვილად ასევე ყოველდღე ვძლიერდები“.

# მარნეულის ბაზარში ჭურჭლისა და ტანსაცმლის მაღაზიები დაიწვა

მარნეულის ბაზარში ხანძარი იყო. როგორც „რუსთავი 2“-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში განუცხადეს, ცეცხლი დაახლოებით 70 კვ მეტრზე იყო გავრცელებული, ხანძრის ლიკვიდირება კი სახანძრო-სამაშველო ჯგუფებმა მალევე შეძლეს.

„რადიო მარნეულის“ ცნობით, დამწვარია 9 ობიექტი, მათ შორის ჭურჭლისა და ტანსაცმლის მაღაზიები.

ხანძრის გაჩენის მიზეზი ჯერჯერობით უცნობია. ადგილზე ექსპერტები მუშაობდნენ.

ცეცხლი მარნეულის ბაზარში 20 ოქტომბერს გაჩნდა.



# საქართველოს პროკურატურამ გერმანულ მხარესთან თანამშრომლობით ტრანსნაციონალური დანაშაული გახსნა

საქართველოს პროკურატურამ გერმანულ მხარესთან თანამშრომლობით ტრანსნაციონალური დანაშაული გახსნა.

ამის შესახებ პროკურორმა ამირან გულუაშვილმა 21 ოქტომბერს უწყებაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

„გერმანული მხარის ჩართულობითა და ევროჯასტის მხარდაჭერით დაგეგმილი ფართომასშტაბიანი ღონისძიება ერთდროულად ორ ქვეყანაში, ათეულობით სხვადასხვა ლოკაციაზე მიმდინარეობდა. საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებულ ღონისძიებაში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის და საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების 110 თანამშრომელი მონაწილეობდა.

ღონისძიების ფარგლებში, განხორციელდა დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების, მათი საცხოვრებელი ბინების, ავტომანქანების და სამუშაო ადგილების ჩხრეკა; ამოღებულ იქნა 100-ზე მეტი ელექტრონული მატარებელი, დოკუმენტაცია და, სავარაუდოდ, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფულადი თანხა. გამოთხოვილ იქნა ელექტრონული ინფორმაცია ათეულობით ობიექტიდან; განხორციელდა არაერთი საპროცესო მოქმედება – ყადაღა დაედო დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ უძრავ ქონებებს, ავტომანქანებს, საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად თანხებს, სხვადასხვა კომპანიების წილებს.

საქართველოში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და სხვადასხვა ქვეყნის ტერიტორიაზე მიმდინარე გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ: 2015 წელს, საქართველოს და ისრაელის სახელმწიფოს მოქალაქეებმა, პირდაპირი ფინანსური და სხვა მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, ჩამოაყალიბეს შეთანხმებულად მოქმედი, სტრუქტურული ფორმის მქონე ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი.

დანაშაულებრივი საქმიანობის პერიოდში, ორგანიზებული ჯგუფის წევრები, თაღლითურად დაეუფლნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქეების კუთვნილ მილიონობით ევროს და მოახდინეს დანაშაულებრივი გზით მიღებული უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია.




დანაშაულებრივი გეგმის შესაბამისად, ორგანიზებული ჯგუფის წევრებმა საქართველოში დააფუძნეს ექვსი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელთა ბაზაზე მოაწყვეს ე.წ. ქოლ-ცენტრი. ოპერატორებად უცხო ენის მცოდნე პირების დასაქმებით, დანაშაულებრივი ჯგუფის სამიზნეს ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები მოქალაქეები წარმოადგენდნენ.

ე.წ. ქოლ-ცენტრის დანაშაულებრივი ფუნქციონირებისთვის შეიქმნა ათეულობით ელექტრონული სავაჭრო პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფდა მომხმარებლისგან თაღლითურად მოპოვებული თანხების განთავსებას დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების საბანკო ანგარიშებზე.

ე.წ. ქოლ-ცენტრის თანამშრომლები, წინასწარ შემუშავებული გეგმის შესაბამისად, ცრუ სატელეფონო ნომრების გამოყენებით უკავშირდებოდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის და სხვა ქვეყნების მოქალაქეებს, ეცნობოდნენ გამოგონილი სახელებით, მათი კომპანიის ადგილსამყოფლის შესახებ აწვდიდნენ ყალბ ინფორმაციას და სთავაზობდნენ ფასიანი ქაღალდების, აქციების, სასაქონლო აქტივების, ვალუტებისა და კრიპტოვალუტების ელექტრონულ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ შექმნილი ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით.

ოპერატორები მომხმარებლებს არწმუნებდნენ, რომ მათი დახმარებით ფასების ზრდა-შემცირებაზე ელექტრონული ვაჭრობის შემთხვევაში, შეძლებდნენ სოლიდური მოგების მიღებას. მომხმარებლისგან თანხმობის მიღების შემდგომ, მათგან ელექტრონული ვაჭრობისთვის გამოყოფილი თანხების განთავსება ხდებოდა დანაშაულებრივი ჯგუფის კონტროლის ქვეშ არსებულ საბანკო ანგარიშებზე.

დანაშაულებრივი გზით დაუფლებული ფულადი თანხები, საბანკო ტრანზაქციების მეშვეობით თავსდებოდა ორგანიზებული ჯგუფის მიერ უცხოეთში დაფუძნებული კომპანიების ანგარიშებზე, საიდანაც ფიქტიური დანიშნულებით, თითქოსდა გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, ირიცხებოდა საქართველოში, მათივე კომპანიების ანგარიშებზე.

აღნიშნული სქემით განხორციელდა თაღლითურად დაუფლებული 9.490.991 ევროს, 716.642 აშშ დოლარის და 218. 000 ბრიტანული ფუნტი სტერლინგის ოდენობის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია.

საქართველოს ტერიტორიაზე დაკავებულ იქნა ჯგუფის 7 წევრი. ექვს მათგანს წარედგინათ ბრალდება თაღლითობისთვის და უკანონო შემოსავლის ლეგალიზებისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე და 194 მუხლით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ცხრიდან თორმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

საქართველოს პროკურატურამ ექვსივე ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების მოთხოვნით თბილისის საქალაქო სასამართლოს უკვე მიმართა. დანაშაულებრივი ჯგუფის ერთი წევრი დაკავებულ იქნა მის მიმართ საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენების მიზნით.

გამოძიება გერმანულ მხარესთან აქტიური თანამშრომლობით გრძელდება ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის კანონსაწინააღმდეგო საქმიანობაში ჩართული სხვა პირების იდენტიფიცირებისა და მხილების მიზნით.

საქართველოს პროკურატურა, ადასტურებს რა საკუთარ პატივისცემას საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს წარმომადგენლების, გერმანიის პოლიციის ატაშეს, ბამბერგის პროკურატურისა და ბავარიის სახელმწიფო პოლიციის მიმართ, გამოთქვამს ტრანსნაციონალური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში სამომავლო ეფექტიანი თანამშრომლობისთვის მზადყოფნას“, – აცხადებენ უწყებაში.

# თბილისში 11 ნარკორეალიზატორი დააკავეს

პოლიციამ საგამოძიებო ღონისძიების შედეგად ბოლო დღეების განმავლობაში თბილისში 11 ნარკორეალიზატორი დააკავა.

ამის შესახებ შს სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა მამუკა ჭელიძემ სპეციალურ ბრიფინგზე განაცხადა.

მისივე ცნობით, მათ შორის 3 პირი სამართალდამცველებმა გუშინ ფონიჭალის დასახლებაში ჩატარებულ საპოლიციო ღონისძიების შედეგად დააკავეს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებმა გენერალურ პროკურატურის თანამშრომლებთან ერთად კომპლექსური ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ბოლო 10 დღეში თბილისში 11 ნარკორეალიზატორი დააკავეს.

ფონიჭალის დასახლებაში დაკავებული არიან: 2001 წელს დაკავებული დ.მ., 1989 წელს დაკავებული ა.ა. და 1983 წელს დაბადებული ზ.ა., ასევე, დაკავებული არიან: 1994 წელს დაბადებული უცხო ქვეყნის მოქალაქე ი.ზ. 1987 წელს დაბადებული დ.დ., 1967 წელს დაბადებული ა.ა., 1988 წელს დაბადებული რ.ჯ., 1972 წელს დაბადებული რ.ზ., 1970 წელს დაბადებული ა.მ., 1956 წელს დაბადებული ვ. მ., 1989 წელს დაბადებული ლ.ს.

დაკავებულებს ბრალად ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღება ედებათ. დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულები ნარკოტიკულ საშუალებებს მოქალაქეებზე სისტემატურად ყიდდნენ. სამართალდამცველებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენიმეჯერ განახორციელეს ნარკოტიკული საშუალებების – „ჰეროინის“, „ალფა-პვპ“-სა და „ბუპრენორფინის“ საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული



შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეოჩაწერა.

სამართალდამცველებმა ფონიჭალის დასახლებაში, ბრალდებულ ზ.ა.-ს საცხოვრებელ სახლში მოსამართლის განჩინების საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღეს 3 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ და ნარკოტიკების დაფასოებისთვის საჭირო ნივთები: ელექტროსასწორი და კოვზი.

პოლიციამ, ბრალდებულ გ.ზ.-ის პირადი ჩხრეკისას, 3 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ ამოიღო.

სამართალდამცველების მიერ დაკავებული უცხო ქვეყნის მოქალაქის – ი.ზ.-ს პირადი ჩხრეკის შედეგად ნივთმტკიცებად ამოღებულია ფული – 1000 ლარი, მისი დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის შედეგად კი – 3 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე და 273-ე პრიმა მუხლებით მიმდინარეობს, რაც განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღებასა და მცენარე კანაფის უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღებას გულისხმობს“, – ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

# შორენა ბეგაშვილის შეყვარებულმა ანასტასია შატალოვას მკვლელი დაიქირავა?

## რა ვერსიებზე მუშაობს გამოძიება

რუსთავი 2-ის ცნობით, ანასტასია შატალოვას მკვლელობასთან კანონიერი ქურდის კავშირი იკვეთება. „კურიერის“ ინფორმაციით, გამოძიება დაკვეთის ვერსიაზე მუშაობს.

კერძოდ, ექსკლუზიური ინფორმაციით, დამკვეთმა საზღვრებს გარეთ მცხოვრებ ე.წ. კანონიერ ქურდს, მეტსახელად „ჭიას“, ანასტასია შატალოვას ლიკვიდაციისთვის შემსრულებლების პოვნა სთხოვა. ამის შემდეგ ლაშა ბარათელი დაუკავშირდა თბილისში ერთ-ერთ პირს, რომელსაც დანაშაული სისრულეში უნდა მოეყვანა.

ლაშა ბარათელი შორენა ბეგაშვილის შეყვარებულია. პრაიმ ტაიმის ცნობით, შორენა ბეგაშვილმა 20 ოქტომბერს ინსტაგრამში დაწერა, რომ ლაშა ბარათელთან მისი რომანი დასრულებულია.

რამდენად არის კავშირში ლაშა ბარათელთან რომანის ასე უცბად დასრულება აღნიშნულ ინფორმაციასთან, უცნობია.

„კურიერისთვის“ ცნობილია ისიც, რომ მკვლელს პირობის შესრულებაში 20.000-მდე დოლარი უნდა აეღო. ვის სურდა 25 წლის ქალის თავიდან მოცილება, ამის შესახებ შემთხვევის დღიდან ბევრი ვერსია გავრცელდა, მათ შორის ფიგურირებს ზურაბ ბერიძის სახელი, რომელთა-



ნაც მოკლულს საერთო შვილთან დაკავშირებით კონფლიქტი ჰქონდა. რუსთავი 2-სთვის მიცემულ პირველ კომენტარში შატალოვას დედამ თქვა, რომ მის შვილს უთანხმოება, ბერიძის გარდა, არავისთან ჰქონია.

ოჯახის პოზიციას კი ანასტასია შატალოვას ინტერესების დამცველი აჟღერებს. პაატა შავაძემ გუშინ შატალოვას გამოკითხვის ოქმი გაასაჯაროვა. ადვოკატის თქმით, ჯერ კიდევ თვეების წინ ქალი ზურაბ ბერიძეს ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობაში ადანაშაულებდა. ოქმში წერია, რომ ზეწოლა მცირეწლოვან ბავშვზეც ხორციელდებოდა.

# პროკურატურამ გურჯაანში ცოლ-ქმრის განზრახ მკვლელობის ფაქტზე ერთ პირს ბრალი წარუდგინა

საქართველოს პროკურატურამ სოფელ გურჯაანში დამამძიმებელ გარემოებაში ცოლ-ქმრის განზრახ მკვლელობის ფაქტზე დაკავებულს ბრალი წარუდგინა.

პროკურატურის ინფორმაციით, ბრალდებულმა გასროლა სანადირო თოფიდან შურისძიების მოტივით განახორციელა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიმდინარე გამოძიებით დგინდება, რომ 19 ოქტომბერს, გურჯაანის რაიონის სოფელ გურჯაანში, საცხოვრებელი სახლის ეზოში, ბრალდებულსა და ერთ-ერთ მოკლულს შორის სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება მოხდა. აღნიშნული ფაქტით განაწყენებულმა ბრალდებულმა, შურისძიების მოტივით, მკვლელობა განიზრახა. მან საკუთარი სახლიდან აიღო გლუვლულიანი სანადირო თოფი და გ.ზ.-სა და მის მეუღლეს დამიზნებით ესროლა.

მ.ზ. შემთხვევის ადგილზე დაიღუპა, ხოლო მისი მეუღლე მიყენებული მძიმე ჭრილობების შედეგად გარდაიცვალა საავადმყოფოში.

სამართალდამცველებმა ბრალდებული იმავე დღეს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ორი პირის განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურა ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით თელავის რაიონულ სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება, – ნათქვამია ინფორმაციაში.

# „ნიღბიანმა რამდენიმეჯერ ესროლა და მერე შავი მანქანით გაიქცა“

## ბათუმში მამაკაცი მოკლეს




21 ოქტომბერს ბათუმში 50 წლამდე მამაკაცი დაჭრეს – შემთხვევა დაახლოებით 12 საათსა და 30 წუთზე მოხდა.

შუახნის მამაკაცს ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმე ტყვია კიდურებში ესროლეს. შემთხვევა ბათუმის ნარკოლოგიური ცენტრის ეზოში მოხდა.

თვითმხილველების თქმით, მათ გასროლის ხმა 5-ჯერ გაიგონეს, ადგილზე მისულებს კი დაჭრილი მამაკაცი უგონო მდგომარეობაში დახვდათ. მათივე თქმით, დამნაშავე, რომელიც შავი ფერის მანქანით გადაადგილდებოდა, შენიღბული იყო.

– 5 გასროლა იყო ზედიზედ, 2 – მცირე ინტერვალით. ეს არის უეჭველი ცეცხლსასროლი იარაღით, თავქუდმოგლეჯილი გავიქეცი. ვნახე, დაგდებული იყო კაცი, ჯერ კიდევ ნარკოლოგიური ექიმები არ იყვნენ ჩამოსული ქვეყნით, მხოლოდ 3 კაცი რაღაცას ხლაფორთობდა, რა გავაკეთოთ და ა.შ. დაჭრილი იყო ალბათ ბარძაყში. ზევით ამბობდნენ ექიმები, შავი მანქანით იყო შენიღბული ადამიანიო, – აცხადებს თვითმხილველი ეკა წულუკიძე.

ნარკოლოგიური დაწესებულების დირექტორი მაია კონცელაძე ადასტურებს, რომ თავდამსხმელი შავნიღბიანი პირი იყო და ხმაურისთანავე ტერიტორიას გაეცალა:

– წესით, გეგმურად უწევდათ სერვისის მიღება და კიბეზე შემოდგმის დროს მოხდა ეს ინციდენტი. ფიზიკურად არც ხმაური გაგვიგონია მანამდე, არც სიტყვიერი დაპირისპირება. პირველსავე ტყვიის ხმაზე გადაიხედეს გოგონებმა და დაინახეს, ნიღბით, შავ პირბადეში ჩაცმული მამაკაცი როგორ ედგა თავზე და იარაღით ცხრილავდა. ატყდა ხმაური. მოქალაქე მანქანით გაეცალა ტერიტორიას. წინა ეზოს კამერები არ გვაქვს ჩვენ საერთოდ იმიტომ, რომ ეს კონფიდენციალური დაწესებულებაა.

დაჭრილი მამაკაცი ერთ-ერთ სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს, თუმცა ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

– პაციენტი იმყოფებოდა უგონო მდგომარეობაში, პრაქტიკულად იყო კრიტიკული მდგომარეობა. შემოსვლისთანავე პაციენტთან იყო სიცოცხლისთვის შეუთავსებელი ცეცხლსასროლი მრავლობითი ჭრილობები, იყო ძალიან დიდი რაოდენობით სისხლის დანაკარგი.

შემოსვლისთანავე დაიწყო გულ-ფილტვის რეანიმაცია და, სამწუხაროდ, მიუხედავად ჩატარებული რეანიმაციული ღონისძიებებისა, პაციენტთან დაფიქსირდა სიკვდილი, – აცხადებს ბათუმის ემერჯენსის ხელმძღვანელი ნათია ბაბუხადია.

# წავკისში უცხოელის ნაკვეთის მითვისებისთვის 1 პირი დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა დიდი ოდენობით სხვისი ქონების მოტყუებით დაუფლების მცდელობის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს.

უწყების ცნობით, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა, რომ ბრალდებულმა სხვა პირების დახმარებით, უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე რიცხული, სოფელ წავკისში მდებარე 4.412.100 ლარის ღირებულების 39.932.00 მ2 მიწის ნაკვეთის მოტყუებით დაუფლების მიზნით ცადა თითქოსდა გენუაში გაცემული, იტალიურ ენაზე შედგენილი ყალბი მინდობილობის გამოყენება.

ამასთან, ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ ბრალდებულის მიერ მოძიებულ იქნა ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის 130.000 აშშ დოლარად შემძენი პირი, რომლის რეალიზაციის მცდელობისას მოხდა მისი დაკავება.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19, 180-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, რაც სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით და ტარდება შესაბამისი ღონისძიებები აღნიშნული დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილე სხვა პირების დადგენა-მხილების მიზნით.

# რუსთავში, ახალ ხიდზე, ავარია მოხდა

21 ოქტომბერს რუსთავში, ახალ ხიდზე, ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. „ნისანის“ მარკის მსუბუქი ავტომანქანის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და ბოძს შეეჯახა. შეჯახების შედეგად მძღოლი დაშავდა.

ადგილზე მობილიზებული იყვნენ სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადა და საპატრულო პოლიცია.

დაშავებული, 40 წლამდე ასაკის მამაკაცი, კლინიკა „რუსთავში“ გადაიყვანეს, სადაც მას გამოკვლევები ჩაუტარდა.

# თურქეთში რუსი ჯაშუშები დაიჭირეს



თურქეთში რუსეთის ჯაშუშები დააპატიმრეს.

პრესა მათ გვარებსაც ასახელებს. ისინი არიან: აბდულა აბდულაევი, ასლანბეკ აბდულმუსლიმოვი, იგორ ეფრიმი, აჰიდ იუსუპოვი.

დაკავებულთაგან ზოგი – რუსეთის, ზოგი – უზბეკეთის, ზოგი უკრაინის მოქალაქეა.

დაპატიმრებულებს ერთი რამ აერთიანებთ: ყველა მათგანი რუსეთის სპეცსამსახურებზე მუშაობდა.

# სობოლზე ძებნა გამოცხადდა

ალექსეი ნავალნის თანამებრძოლ ლუბა სობოლზე ძებნა გამოცხადდა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც სასამართლომ მას 1,5 წლით პატიმრობა მიუსაჯა.




სობოლმა ამ დროისთვის რუსეთი დატოვა და თურქეთში გაემგზავრა.

სობოლს რუსეთის დატოვების უფლება ჰქონდა, რადგანაც განაჩენი ჯერ ძალაში შესული არ იყო. ახლა განაჩენი ძალაში შევიდა და სობოლზეც ძებნა გამოცხადდა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# რუმინეთის პრეზიდენტმა პრემიერის პოსტზე ნიკოლაე ჩუკა წარადგინა



რუმინეთის პრეზიდენტმა კლაუს იოჰანისმა პრემიერ-მინისტრის პოსტზე არმიის ოთხვარსკვლავიანი გენერალი, თავდაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ნიკოლაე ჩუკა წარადგინა.

– გადავწყვიტე, პრემიერ-მინისტრის პოსტზე ნიკოლაე ჩუკას კანდიდატურა წარვადგინო. პოლიტიკური კრიზისი უნდა დასრულდეს. ახლა ჩვენ ყველამ უნდა დავამთავროთ კრიზისი, რომელიც ამდენი ხანია, გრძელდება, – აღნიშნა იოჰანისმა.

ჩუკას მინისტრთა კაბინეტის წარსადგენად და პარლამენტის მხარდაჭერის მოსაპოვებლად 10 დღე აქვს.

# რადიო „თავისუფლების" უზბეკური რედაქციის თანამშრომლებს სიკვდილით ემუქრებიან



მალე უზბეკეთი ახალ პრეზიდენტს აირჩევს. რადიო „თავისუფლების" უზბეკური რედაქცია ამ პროცესს ფართოდ გააშუქებს. როგორც ჩანს, ეს ვიღაც-ვიღაცებს არ მოსწონთ. რადიო „თავისუფლების" თანამშრომლებიც სისტემატურად მუქარის წერილებს იღებენ.

რადიო „თავისუფლების" უზბეკური რედაქციის წარმომადგენლებს ემუქრებიან სიკვდილით, გაუპატიურებითა და ა.შ.

ამის შესახებ რადიო „თავისუფლების" როგორც უზბეკური, ისე რუსული რედაქციები იუწყებიან.

# უკრაინის ექსპრემიერი დაუსწრებლად დააპატიმრეს



უკრაინის ექსპრემიერი აზაროვი დაუსწრებლად დააპატიმრეს.

მას ბრალად წაუყენეს ე.წ. ხარკოვის შეთანხმებები, რომელთა ძალითაც რუსეთს დაუკანონდა ბაზები შავ ზღვაზე და ქალაქ სევასტოპოლში.

აზაროვს სამშობლოს ღალატი ბრალდება.

თავად აზაროვი დღეისთვის რუსეთის ტერიტორიაზე იმყოფება.

უკრაინული მხარე მის ექსტრადიციას ცდილობს.

# გოგონამ სიცოცხლე ნიანგის ყბებში დაასრულა

ინდონეზიის კუნძულ ბურუს მკვიდრმა რვა წლის გოგონამ გადაწყვიტა, მდინარეში ებანავა და მეგობრების თვალწინ სიცოცხლე ნიანგის ყბებში დაასრულა.



სუჩი რამადხანი მეგობრებთან ერთად კაელის ოლქში მდინარეში ბანაობდა. ამ დროს გოგონას თავს ნიანგი დაესხა. ბავშვები მიმოიფანტნენ და საშველად მოზრდილებს უხმეს.

ადგილობრივებმა ნიანგი შუბით მოკლეს. ამ დროს რეპტილიას ბავშვი ყბებში ეჭირა. ხმელეთზე ამოთრევისა და მუცლის გაფატვრის შემდეგ მის კუჭში მსხვერპლს ვერ მიაგნეს. გოგონას გვამი თავდასხმიდან ორი დღის შემდეგ იპოვეს.

# ქალმა მამაკაცი შეყვარებულის თვალწინ კოცნაზე უარის თქმის გამო მოკლა



ამერიკის ილინოისის შტატის ქალაქ როლინგ-მედოუსის მცხოვრებმა ქალმა მეზობელი მამაკაცი მას შემდეგ მოკლა, რაც მან შეყვარებულის თვალწინ კოცნაზე უარი უთხრა.

28 წლის კლაუდია რესენდიზ-ფლორენზი იმ ბინაში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც 29 წლის ჯეიმს ჯონსი და მისი შეყვარებული ცხოვრობდნენ. ერთ საღამოს მობინადრეები ერთად სვამდნენ ალკოჰოლურ სასმელებს და ქალმა ჯონსს მოსთხოვა, რომ მისთვის მეგობარი გოგონას თვალწინ ეკოცნა. მამაკაცმა მისი წინადადება უარყო და თავის შეყვარებულს აკოცა.

მაშინ ქალმა მოითხოვა, რომ მისთვის ჯონსის შეყვარებულს ეკოცნა, მაგრამ მისგანაც უარი მიიღო. ამის შემდეგ მან ისევ მამაკაცს მოსთხოვა, მისთვის ეკოცნა. განმეორებითი უარის შემდეგ ის გაცოფდა. რესენდიზ-ფლორენზიმ ჯონსის პისტოლეტს სტაცა ხელი, რომელიც დივნის ბალიშის ქვეშ იყო შენახული, დამცველი მოხსნა და მამაკაცს დაუმიზნა. ჯონსი ქალისთვის იარაღის წართმევას შეეცადა, მაგრამ რესენდიზ-ფლორენზიმ მისთვის მკერდში სროლა მოასწრო.

ჯონსის შეყვარებულმა პოლიცია გამოიძახა. სამართალდამცავებმა მსროლელი ქალი დააპატიმრეს. ქალმა დანაშაული აღიარა. მას მკვლელობის ბრალდება წაუყენეს. სასამართლომ სამი შვილის დედა გამოძიების დასრულებამდე გირაოს გადახდის გარეშე საპატიმროში დატოვა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

სპორტი

# შავი ლომი რუსებთან სათამაშოდ გაემგზავრა

პირველი ქართული პროფესიული სარაგბო ფრენჩაიზი შავი ლომი პირველი გასვლითი მატჩისთვის პენზაში (რუსეთი) გაემგზავრა და ხვალ, 23 ოქტომბერს, იქაურ ლოკომოტივს ეთამაშება.

ლოკომოტივმა აქამდე ორი მატჩის გამართვა მოასწრო: სექტემბერში ენისეისთან ორივე ბონუსით დათმო – 6:22 კრასნოიარსკში და 21:44 – პენზაში. შავმა ლომმა კი პირველი ტურის გადადებულ მატჩში თელავივი ჰითი 16 ოქტომბერს „ავჭალაზე" ბონუსით 33:10 დაამარცხა. შედეგად, ქართული გუნდი 5 ქულით მეორე ადგილზეა, ენისეის ქულათა მაქსიმუმი (10) აქვს, ჰითი და ლოკომოტივი კი უქულოდ არიან.



ლოკომოტივთან თამაშს გამოტოვებს და დიდი დრო გაუცდება სოსო მათიაშვილს, რომელმაც მუხლის ტრავმა ჰითთან მატჩისას მიიღო და საოპერაციოა. მთავარი მწვრთნელის ლევან მაისაშვილის თქმით, იყო სხვა მცირე ტრავმებიც.

**ლევან მაისაშვილი:**

– გვქონდა მცირე ტრავმები, რომლებსაც რეაბილიტაცია სჭირდებოდა. გარდა ამისა, რამდენიმე მორაგბეს ფაიზერის ბუსტერით აცრა უწევდა, რადგან საფრანგეთში სხვა მხრივ არ შეუშვებენ. შედეგად, რამდენიმე დღე მათაც ვერ ივარჯიშეს და სრული შემადგენლობა გვიან შევიკრიბეთ. მიუხედავად ამისა, ნორმალურად ვართ მომზადებული და ვიტოვებთ იმედს, რომ პირველი თამაშის შემდეგ ხარისხი უკეთესი იქნება. ჩვენი მიზანიც სწორედ ესაა, რომ თამაშიდან თამაშამდე განვვითარდეთ, დავხვეწოთ დეტალები და მოთამაშეებს საერთაშორისო გამოცდილება მივცეთ.

სამწუხაროდ, დიდი ხნით გამოგვაკლდა სოსო მათიაშვილი. მან ჯვარედინი დაიზიანა და საოპერაციოა. ჯერ არ დაბრუნებულან მანამდე ტრავმირებული მოთამაშეები. მათგან რომელიმეს ენისეისთან მატჩის წინ ველით.

თელ ავივის გუნდი ინდივიდუალურად უფრო მაღალი დონის მოთამაშეებით იყო დაკომპლექტებული, მაგრამ ლოკომოტივს ის უპირატესობა აქვს, რომ შეთამაშებული გუნდია. მათ მაღალი, ჯანიანი ბიჭები ჰყავთ და სოლიდურად გამოიყურებიან დერეფანში, შეჯახებებში. ლოკომოტივში რამდენიმე ქართველი თამაშობს, რომლებიც თავიანთ პოზიციებზე კარგად გამოიყურებიან.

შავი ლომი პენზასთან მატჩის შემდეგ შინ დაბრუნდება და 30 ოქტომბერს ისევ რუსეთში, სოჭში, ენისეისთან გასამართი შეხვედრისთვის მოემზადება.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## განცხადებები

● 45-წლიანი გამოცდილებით გთავაზობთ პარაფსიქოლოგის მომსახურებას – გაუმართლებლობა, ქალის ბედის გახსნა, მტრის ჩამოშორება, შებოჭილობა, დეპრესია, კოშმარული სიზმრები, პიროვნებებს შორის აგრესიები, მოღალატე ქმრის მორჯულება, ეჭვიანობა, თვითმკვლელობის სურვილი, პათოლოგიური სიმთვრალე და კიდევ მრავალი პრობლემის მოგვარება, შესაძლებელია პაციენტის გარეშეც. ფოტოსურათი აუცილებელია. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება წინასწარი ჩაწერით.

სპორტი

# თბილისის დინამო ბათუმის დინამოს ჩემპიონობას უთმობს

### დინამო (ბთ)-დინამო (თბ) 1:1

ბათუმი. აჭარაბეთარენა

0:1 ოსეი (18), 1:1 ჯილაური (38)

**დინამო** (ბთ): კუპატაძე, ტეიდი, აზაცკი, ჯილაური (გროცურეკი 90), ფანცულაია (გაფრინდაშვილი 74), აზაროვი, მამუჩაშვილი (ზარია 74), ალთუნაშვილი (მანჯგალაძე 89), კობახიძე, ჩაბრაძე, ფლამარიონი (შინდაგორიძე 89)

**დინამო** (თბ): პრიეტო, ხვადაგიანი, ბენიო, კალანდაძე, მექვაბიშვილი, სპორქსლედე, ხარაბაძე, რადინი (მოისწრაფიშვილი 52), კუცია (მორჩილაძე 58), ოსეი (ქავთარაძე 68), მარუშიჩი



ეროვნული ლიგის 30-ე ტურის ცენტრალური მატჩი ბათუმში გაიმართა. დინამოების დერბი.

თბილისელები პრინციპულ დაპირისპირებას სერიოზული დანაკლისით შეხვდნენ. დედაქალაქელებს აუცილებლად სჭირდებოდათ გამარჯვება, რათა საჩემპიონო ბრძოლაში დარჩენილიყვნენ, მაგრამ ამ დროს გუნდს ტრავმების გამო დავით სხირტლაძე, დავით კობოური და გიორგი გაბედავა გამოაკლდა, ხოლო გიორგი პაპავას ყვითელი ბარათების ლიმიტი ამოეწურა.

საბოლოოდ, თბილისურმა გუნდმა საწადელს ვერ მიაღწია და ზღვისპირელები, ფაქტობრივად, ჩემპიონები არიან.

არადა, სტუმრები იგებდნენ: ორივე კართან რამდენიმე სახიფათო და სწრაფი შეტევის შემდეგ მე-18 წუთზე სწრაფ კონტრშეტევას ლევან ხარაბაძის ჩაწოდება მოჰყვა და ბარნს ოსეიმ ერთი შეხებით გახსნა ანგარიში.

ბათუმელებმა უმატეს შეტევებს და ერთ ეპიზოდში ანდრეს პრიეტომ იხსნა თბილისელთა კარი. საპასუხოდ უკვე დედაქალაქურ დინამოს მართებდა მეორე გოლის გატანა, თუმცა ზორან მარუშიჩმა ხელსაყრელი სიტუაციიდან მეკარეს გაარტყა ბურთი. ბათუმელებმა თბილისელთა დაცვის შეცდომით 38-ე წუთზე ისარგებლეს და ჯაბა ჯიღაურმა სტატუსკვო აღადგინა. ტაიმი ფრედ 1:1 დამთავრდა.

მეორე ნახევარიც პირველის დარად მაღალ ტემპში განახლდა. გუნდებმა სახიფათო მომენტები გაცვალეს: ჯერ ირაკლი აზაროვმა ხელსაყრელი სიტუაციიდან ააცილა კარს, შემდეგ კი სტუმართა სწრაფი კონტრშეტევა, ფაბიან სპორქსლედეს ჩაწოდება, ბოლო წამს მცველებმა განმუხტეს მომენტი და ანგარიშიც აღარ შეცვლილა 1:1.

### ტორპედო-საბურთალო 1:1

ქუთაისი. რამაზ შენგელია

1:0 ახვლედიანი (50), 1:1 ცნობილაძე (70)

ეროვნულ ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად მებრძოლი ტორპედო საკუთარ მოედანზე საბურთალოს დაუპირისპირდა. შეხვედრაც ფრედ, 1:1 დასრულდა.

მასპინძელთა მხრიდან გოლი თორნიკე ახვლედიანმა გაიტანა, ხოლო საბურთალოს მხრიდან გატანილი გოლის ავტორი დაჩი ცნობილაძე გახდა.

### ლოკომოტივი-დილა 0:4

საგურამო. ლოკო-საგურამო

0:1 ბიძინაშვილი (11), 0:2 სანტოსი (13), 0:3 კაპანაძე (54), 0:4 ღუდუშაური (70)

გამანადგურებელი ანგარიშით დამარცხდა ლოკომოტივი გორის დილასთან დაპირისპირებაში. სტუმრებმა მეტოქეს 4 უპასუხო გოლი გაუტანეს. დილა ლოკომოტივს პირველ თხუთმეტ წუთში უკვე 2-ბურთიანი უპირატესობით უგებდა.

გორელები მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდნენ ტერიტორიულ და სათამაშო უპირატესობას. გოლები თორნიკე კაპანაძემ, ირაკლი ბიძინაშვილმა, პაატა ღუდუშაურმა და ალეფმა გაიტანეს.

### სამგურალი-თელავი 0:1

წყალტუბო. 26 მაისი

0:1 რუხაძე (45)

მასპინძლებმა ჩემპიონატში ზედიზედ მე-6 შეხვედრა ვერ მოიგეს. თელაველებთან მინიმალური ანგარიშით დამარცხდნენ – ერთადერთი გოლი 45-ე წუთზე ირაკლი რუხაძემ გაიტანა.

### სამტრედია-შუქურა 1:1

სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე

1:0 პრელჩეცი (23), 1:1 მუსელიანი (34)

მნიშვნელოვანი ქულები დაკარგა სამტრედიამ. ეროვნული ლიგიდან გავარდნის კანდიდატებმა შუქურასთან გამართული შეხვედრა ფრედ 1:1 დაასრულეს.

23-ე წუთზე მასპინძლები პრელჩესის მიერ გატანილი გოლით დაწინაურდნენ, თუმცა უპირატესობა მხოლოდ 10 წუთი შეინარჩუნეს. ანგარიში ზურაბ მუსელიანმა გაათანაბრა და ამის შემდეგ თამაშში არაფერი შეცვლილა.

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 30 | 18 | 10 | 2 | 62-24 | 64 |
| 2.დინამო (თბ) | 30 | 17 | 6 | 7 | 49-25 | 57 |
| 3.საბურთალო | 30 | 13 | 11 | 6 | 44-31 | 50 |
| 4.დილა | 30 | 14 | 8 | 8 | 39-30 | 50 |
| 5.ლოკომოტივი | 30 | 13 | 5 | 12 | 49-53 | 44 |
| 6.სამგურალი | 30 | 8 | 12 | 10 | 31-36 | 36 |
| 7.თელავი | 30 | 9 | 8 | 13 | 27-41 | 35 |
| 8.ტორპედო | 30 | 5 | 12 | 13 | 25-37 | 27 |
| 9.შუქურა | 30 | 5 | 11 | 14 | 26-41 | 26 |
| 10.სამტრედია | 30 | 4 | 5 | 21 | 27-61 | 17 |

# გიორგი ცინცაძე: „არასდროს დამავიწყდება ჩემი პირველი მატჩი ნაკრებში“

საქართველოს ნაკრების კალათბურთელი გიორგი ცინცაძე ქვეყნის აბსოლუტური რეკორდსმენია. „ბუს“, როგორც მას თანაგუნდელები ეძახიან, ქართველ სპორტსმენებს შორის ყველაზე მეტი სანაკრებო მატჩი აქვს ჩატარებული – 187.

ცნობისთვის: პოპულარულ სპორტულ სახეობებს შორის ახლახან მე-100 მატჩი ითამაშა ფეხბურთელმა ჯაბა კანკავამ, რომელიც ლევან კობიაშვილს გაუთანაბრდა, მორაგბეთა ნაკრებში კი საუკეთესო შედეგი დავით კაჭარავას აქვს – 121.

ცინცაძე 35 წლისაა. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად სერიოზული ტრავმა აქვს, კარიერის დასრულებას არ აპირებს.

**გიორგი ცინცაძე:**

– 187 პატარა რიცხვი არ არის. თუნდაც ერთი მატჩი ეროვნულ ნაკრებში ძალიან საამაყო და სასიხარულოა. ნაკრების მწვრთნელის დაძახებაზე პირველივე დღიდან ჩავდიოდი, ვცდილობდი, მაქსიმალურად დავხმარებოდი ეროვნულ გუნდს. როგორ ვეხმარებოდი, ეს უკვე გულშემატკივარმა შეაფასოს. საბოლოოდ 187 მატჩი მომიგროვდა. ჯერჯერობით ამ მაჩვენებლით ყველა სახეობაში პირველი ვარ. თუ ვინმე გამასწრებს, ნამდვილად არ მეწყინება.

გიორგი ცინცაძემ საქართველოს ნაკრებთან ერთად 4 ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზა. იყო ალბათობა, ორჯერ მეტ ევრობასკეტზე მიეღო მონაწილეობა და მედლებითაც დაბრუნებულიყო. საამისოდ საჭირო იყო თანხმობა რუსეთის მოქალაქეობის მიღებაზე.

– მოსკოვის ცსკა-ში 2003 წელს გადავედი. შემომთავაზეს რუსეთის მოქალაქეობა, რაც, შესაძლოა, უკეთეს ფინანსურ პირობებს ნიშნავდა. მაგრამ მაშინ სრულიად დამოუკიდებლად გადავწყვიტე, მეთამაშა საქართველოს ნაკრებში. რუსებს უარი ვუთხარი. ეს იმას არ ნიშნავს, რომ რუსეთის ნაკრებმა რამე დაკარგა. რა თქმა უნდა, დღეს არ ვნანობ, სწორ ნაბიჯად მიმაჩნია და ვამაყობ, რომ საქართველოს ნაკრების წევრი ვარ.

აქვე ერთ სწორ გადაწყვეტილებაზე, რომელიც საქართველოს ნაკრებს არ ეხება: 2006 წელს ცინცაძემ რუსეთი დატოვა და ესტონეთში გადავიდა...

– ცსკაში 17 წლისა გადავედი. ახალგაზრდა ვიყავი და დრო ცოტა მქონდა. ვითამაშე სხვა რუსულ გუნდებშიც, მაგრამ ესტონეთში სულ სხვა სიტუაციაში აღმოვჩნდი – ასაკის მიუხედავად, ბევრს ვთამაშობდი და ბალტიის ლიგაზე ჟალგირისისა და რიტასის დონის გუნდებთან შემეძლო მეჩვენებინა, რა შემიძლია.



სხვათა შორის, ტარტუ როკის მაისურით გიორგიმ ფლეი ოფიდან გამოთიშა ყოფილი გუნდები სამარა და ურალ გრეიტი. ურალელებთან მეოთხედფინალის ბოლო პერიოდში ქართველმა გამთამაშებელმა 15 ქულა ჩააგდო...

ეს ესტონურ კლუბში და რომელი იყო ყველაზე დასამახსოვრებელი მატჩი საქართველოს ნაკრებში?

– შემიძლია, დაუფიქრებლად ვთქვა – ჩემი პირველი ოფიციალური თამაში საქართველოს ნაკრების მაისურით. 2004 წელს თბილისში 12.000 გულშემატკივრის თვალწინ ფინეთი დავამარცხეთ. ის ემოცია, რომელიც დარბაზში იყო, ახლაც საოცრად მახსენდება. თუმცა მას მერე ჩვენმა ნაკრებმა ბევრი დასამახსოვრებელი შეხვედრა ჩაატარა.

გიორგიმ ოქტომბრის დასაწყისში დუდუ დადიანის მემორიალი თსუ-ს მაისურით ითამაშა. შეჯიბრება ვერ ჩაამთავრა, რადგან მუხლის სერიოზული დაზიანება მიიღო – ჯვარედინი იოგები გაუწყდა.

– ძალიან მინდა, საქართველოს ნაკრებს ევროპის 2022 წლის ჩემპიონატზე დავეხმარო. ეს საკალათბურთო ზეიმი იქნება – ევრობასკეტის ჯგუფური ეტაპის მატჩებს ხომ თბილისში ვითამაშებთ. საკუთარი გულშემატკივრის წინაშე ენერგიაც მეტია და წარმატების შანსიც. ოპერაციაა საჭირო, ვემზადები და უახლოეს პერიოდში გავიკეთებ. ისეთივე დაზიანებაა, როგორიც 2011 წლის ევროპის ჩემპიონატზე მაკედონიასთან მატჩისას მივიღე. იმედი მაქვს, ოპერაცია წარმატებით ჩაივლის და მალე დავუბრუნდები მოედანს.

2011 წელს მაკედონიასთან მიღებული ტრავმის შემდეგ ცინცაძეს რეაბილიტაციისთვის 6 თვე დასჭირდა.

# ფავორიტთა დაგეგმილი გამარჯვებები

გაიარა ჩემპიონთა ლიგის ნახევარმა. პირველი წრის ბოლო სათამაშო დღეს სენსაციური არაფერი მომხდარა. ვერც იმას იტყვის ვინმე, რომელიმე მატჩი ალოგიკური შედეგით დასრულდაო.



### ე ჯგუფი

**ბენფიკა-ბაიერნი 0:4**

0:1 სანე (70), 0:2 ევერტონი (80სკ), 0:3 ლევანდოვსკი (82), 0:4 სანე (85)

ბავარიელებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ლიგის ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტები არიან. იულიან ნაგელსმანის არყოფნაში (კოვიდი დაუდასტურდა) მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელი დინო ტოპმიოლერი იყო, იმ კლაუს ტოპმიოლერის შვილი, რომელიც 2006-08 წლებში საქართველოს ნაკრებს წვრთნიდა.

დიდი უპირატესობის მიუხედავად, ბაიერნმა გუნდი მატჩის ბოლოს გატეხა. სანემ (2), ლევანდოვსკიმ და ევერტონმა (საკუთარ კარში) 20 წუთში 4-ჯერ შეარხიეს ბენფიკას კარის ბადე.

**ბარსელონა-დინამო (კ) 1:0**

1:0 პიკე (36)

როგორც იქნა, მოიგო ბარსელონამაც, თუმცა კატალონიელებმა ამჯერადაც ბეწვის ხიდზე გაიარეს და მხოლოდ პიკეს ერთადერთ გოლს დასჯერდნენ.

მთავარია, რომ ბარსელონამ შანსი დაიტოვა. შანსი უკრაინულ გუნდსაც აქვს, მაგრამ – უფრო თეორიული.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 3 | 3 | 0 | 0 | 12-0 | 9 |
| 2.ბენფიკა | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 4 |
| 3.ბარსელონა | 3 | 1 | 0 | 2 | 1-6 | 3 |
| 4.დინამო | 3 | 0 | 1 | 2 | 0-6 | 1 |

### ფ ჯგუფი

**მანჩესტერი-ატალანტა 3:2**

0:1 პაშალიჩი (15), 0:2 დემირალი (29), 1:2 რაშფორდი (53), 2:2 მაგუაირი (75), 3:2 რონალდუ (81)

მორიგი საოცარი შემოტრიალება შემოგვთავაზა მანჩესტერმა. ამ გუნდს „გენებით“ სისხლში აქვს, რომ ბოლომდე ბრძოლას აზრი ყოველთვის აქვს.

მანჩესტერი ამჯერად 0:2 აგებდა და ტაიმიც ასე დამთავრდა. სოლსკიაერის გუნდმა მატჩის შემოტრიალება მე-2 ტაიმიდან დაიწყო და...

რაშფორდი, მაგუაირი, რონალდუ – ასეთი თანმიმდევრობით შეაგდეს მანჩესტერელებმა. რონალდუს კი მერამდენედ გააქვს გუნდისთვის გამარჯვების მომტანი გოლი, თვლა აღარ აქვს.

**იანგ ბოისი-ვილიარეალი 1:4**

0:1 პინო (6), 0:2 ჟ.მორენო (16), 1:2 ელია (77), 1:3 ა.მორენო (89), 1:4 ჩუკუეზე (92)

მარტივი გამარჯვება მოიპოვა ვილიარეალმა და გრანდებს დაანახა, რომ ფავორიტობა მნიშვნელოვანი არ არის.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 3 | 2 | 0 | 1 | 6-5 | 6 |
| 2.ატალანტა | 3 | 1 | 1 | 1 | 5-5 | 4 |
| 3.ვილიარეალი | 3 | 1 | 1 | 1 | 7-5 | 4 |
| 4.იანგ ბოიზი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-6 | 3 |

### ჯ ჯგუფი

**ლილი-სევილია 0:0**

როგორც მოსალოდნელი იყო, ისე დამთავრდა. ორივე გუნდს, ერთი შეხედვით, ძალთა თითქმის თანაფარდობა აქვს და დაამტკიცეს კიდეც.

**ზალცბურგი-ვოლფსბურგი 3:1**

ზალცბურგი ამტკიცებს, რომ ჯგუფში სხვებზე უკეთეს ფორმაშია, მეტიც, პირველი წრე საკმაოდ დამაჯერებელი სხვაობით მოიგო და ძალიან ახლოს არის ფლეი ოფთან.

ზალცბურგელთა ბოლო მსხვერპლს, ვოლფსბურგს, შანსი ჯერ ისევ აქვს, მაგრამ დიდი ბრძოლების გადატანა მოუწევს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ზალცბურგი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-3 | 7 |
| 2.სევილია | 3 | 0 | 3 | 0 | 2-2 | 3 |
| 3.ლილი | 3 | 0 | 2 | 1 | 1-2 | 2 |
| 4.ვოლფსბერგერი | 3 | 0 | 2 | 1 | 2-4 | 2 |

### ჰ ჯგუფი

**ჩელსი-მალმიო 4:0**

1:0 კრისტენსენი (9), 2:0 ჟორჟინიო (21), 3:0 ჰავერტცი (48), 4:0 ჟორჟინიო (57პ)

ჩელსიმ მარტივი და დაგეგმილი გამარჯვება მიითვალა. გოლები ყველანაირი გემოვნების გავიდა, თუმცა ლონდონელებს ჯერ გადაწყვეტილი არაფერი აქვთ და საფლეიოფო ბრძოლაში რჩებიან.

**ზენიტი 0:1 იუვენტუსი**

0:1 კულუშევსკი (86)

სერია ა-სგან განსხვავებით იუვენტუსი შესანიშნავად გამოიყურება ჩემპიონთა ლიგაში და ქულადაუკარგავად ლიდერობს ჯგუფს.

ტურინელებმა შეცვლაზე შესული პოლონელი კულუშევსკის ერთადერთი გოლით იმარჯვეს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 3 | 3 | 0 | 0 | 5-0 | 9 |
| 2.ჩელსი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-1 | 6 |
| 3.ზენიტი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-2 | 3 |
| 4.მალმიო | 3 | 0 | 0 | 3 | 0-11 | 0 |

## შედეგები

**20 ოქტომბერი**

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

ბენფიკა-ბაიერნი ............................ 0:4
ბარსელონა-დინამო(კ) ..................... 1:0
იუნაიტედი-ატალანტა ..................... 3:2
იანგ ბოიზი-ვილიარეალი ................. 1:4
ლილი-სევილია ............................... 0:0
ზალცბურგი-ვოლფსბურგი ............ 3:1
ჩელსი-მალმიო ................................. 4:0
ზენიტი-იუვენტუსი ......................... 0:1

**უეფას ევროპის ლიგა**

სპარტაკი-ლესტერი ......................... 3:4

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

მიდლსბრო-ბარნსლი ....................... 2:0
პრესტონი-ქოვენთრი ....................... 2:1
სუონსი-ვესტ ბრომვიჩი .................. 2:1
ფულემი-კარდიფი ........................... 2:0
ჰადერსფილდი-ბირმინგემი ............. 0:0
ჰალი-პიტერბრო ............................. 1:2
რედინგი-ბლექპული ....................... 2:3

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ვალიადოლიდი-იბიცა ..................... 1:1
ფუენლაბრადა-ამორებიეტა ............ 0:0
ალკორკონი-ლეგანესი .................... 3:3
ლუგო-ლას პალმასი ........................ 2:0

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის. როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**ნანა ნადარეიშვილი:** მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

**ხვიჩა გოგია:** კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

**მზია დუნდუა:** მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. საქართველოში გავრცელებული წითელი, ძვირფასმერქნიანი, წიწვოვანი ხე; 2. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წერილობითი მიმართვა მოსახლეობისადმი; 3. სოფლის მეურნეობის შემსწავლელი მეცნიერება; 4. ტროპიკული ხილი; 5. წალკის ძველი სახელწოდება; 10. პოპულარული მუსიკალური ნაწარმოების ფრაგმენტებიდან შექმნილი მელოდია; 11. თავადის ტიტული ინდოეთში; 12. კომპიუტერული თამაშების მოყვარული ადამიანი; 13. საიზოლაციო მასალების წარმოებაში გამოყენებული თეთრი ბოჭკოვანი მინერალი; 16. ისტორიული ციხე-ქალაქი ჰერეთში; 17. სამახსოვრო საჩუქარი; 19. კუთხე საქართველოში; 21. ჟორჟ სიმენონის ნაწარმოებთა პერსონაჟი, დეტექტივი; 23. არყის სასმელი პატარა ჭიქა.

**თარაზულად:** 6. ერთმანეთთან ახლოს მდებარე კუნძულთა ჯგუფი ოკეანეში; 7. ზღვისპირა კურორტი სამეგრელოში; 8. საკანონმდებლო ორგანოს ზედა პალატა აშშ-ში; 9. მაგნიტის ქართული სახელწოდება; 14. აზერბაიჯანელ ქალთა ცეკვა; 15. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 18. მუსლიმანთა მთვარის კალენდარი; 20. ორგანიზაციის შიკრიკი; 22. ყვითელი ფერის ლითონი, სპილენძისა და თუთიის შენადნობი; 24. შაქრის წარმოების ნარჩენი სქელი, შავი სითხე; 25. პლანეტა ვენერას ძველი სახელწოდება; 26. რაიონული ცენტრი შიდა ქართლში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბიტი; 2. ილი; 3. პროპოლისი; 4. ხირსა; 5. კეტჩერი; 8. ლარი; 9. შერბური; 10. მორიკონე; 12. ქორქია; 13. კეინი; 15. პლაკე.

**თარაზულად:** 1. ბაღდადი; 6. ქრისტინე; 7. ტოლჩა; 10. მოპსი; 11. სრუტე; 13. კობრი; 14. პაპყი; 16. ქისი; 17. იავნანა; 18. ორტეგა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მავრები; 2. ბაზილიკი; 3. ამპლიტუდა; 4. სვანეთი; 5. პარლამენტი; 10. დიბალა; 11, მაყრიონი; 12. შპიგელი; 13. კამბუზი; 16. პარმიტანო; 17. ვოდევილი; 19. აშკენაზი; 21. ამური; 23. ატენი.

**თარაზულად:** 6. პალიასტომი; 7. ქვაწვია; 8. სესილი; 9. რიგოლეტო; 14. ლაშარელა; 15. ამირეჯიბი; 18. განჯა; 20. ჩონგური; 22.ქიაჩელი; 24. იმნაძე; 25. მაშავერა; 26. ვინილი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


22 ოქტომბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 3.1410 | ევრო — 3.6561 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.3346 | 100 რუსული რუბლი — 4.4164 |

## ამინდის პროგნოზი 22 ოქტომბრისათვის




## სოლსკიაერი: „ასეთი მატჩები მორალურად გვაძლიერებს“



მანჩესტერ იუნაიტედმა დაძაბულ ბრძოლაში მოახერხა ატალანტას დამარცხება ანგარიშით 3:2.

პირველი ტაიმის შემდეგ გუნდი 0:2-ს აგებდა.

ოლე გუნარ სოლსკიაერმა მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ მისმა გუნდმა შეძლო თამაშში გარდატეხის შეტანა და ის ამის გამო ბედნიერია:

– მიხარია, რომ ასეთი დაძაბული და მნიშვნელოვანი მატჩი მოვიგეთ, რადგან მომავალში ეს დაგვეხმარება, თუმცა პირველ ტაიმში ბევრი შეცდომა დავუშვით და ამაზე უნდა ვიმუშაოთ. ასეთი მატჩები მორალურად გვაძლიერებს.

## კუმანი: „მეორე ტაიმი უკეთ უნდა გვეთამაშა“



ბარსელონის მთავარმა მწვრთნელმა რონალდ კუმანმა კიევის დინამოსთან მატჩის შემდეგ კომენტარი გააკეთა და თქვა, რომ მისმა გუნდმა მეორე ნახევარი მაღალ დონეზე არ ითამაშა და მათ ბევრი სამუშაო აქვთ.

მიუხედავად ამისა, კუმანი გამარჯვებით კმაყოფილია:

– მეორე ტაიმში მატჩის სადავეები ხელიდან გავუშვით, თუმცა გოლის გატანის შანსები მაინც გვქონდა. გამარჯვებით კმაყოფილი ვარ. ჩვენ ჩემპიონთა ლიგაში შეცდომები აღარ უნდა დავუშვათ.

## იულიან ნაგელსმანს კორონავირუსი დაუდასტურდა



მიუნხენის ბაიერნის მთავარ მწვრთნელს იულიან ნაგელსმანს კორონავირუსი დაუდასტურდა და სწორედ ამ მიზეზით ის ბენფიკასთან შეხვედრაზე სათადარიგოთა სკამზე არ იყო. ნაგელსმანი ვაქცინირებულია, ამიტომ, დიდი ალბათობით, მას გართულებები არ ექნება.

ჯერჯერობით უცნობია, თუ როდის დაბრუნდება ნაგელსმანი.

მანამდე ბაიერნს მისი თანაშემწე უხელმძღვანელებს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

გზაზე მიმავალ გლეხს წინ ყაჩაღი გადაუდგა და უბრძანა:

– ფული, ჩქარა!

– აგერ მზესუმზირა მაქვს და ინებეთ, ბატონო.

– ვის იგდებ მასხრად, მზესუმზირა რა ჯანდაბად მინდა?

– უბრალოდ გაერთობით, სანამ ვინმე ფულიანი გამოივლის.

•••

ტრავმატოლოგიურთან დაბინტული წყვილი ტაქსის აჩერებს, ჩასხდნენ და ერთ-ერთი მძღოლს ეუბნება:

– ძალიან გთხოვთ, ნელა იარეთ. თორემ წინა კვირას ვიღაც გადარეულმა დაგვამტვრია.

– უი, თქვენ ხართ, უცბად ვერ გიცანით.

•••

გამომძიებელი დაკავებულს ჩვენებას ართმევს. დაკავებული გამომძიებელს ეკითხება:

– შეიძლება სიგარეტს მოვუკიდო?

– ეწევით?

– დიახ.

– ნარკომანი ხართ?

– არა, საიდან მოიტანეთ?

– პაპიროსისგან მოსაწევის გაკეთება მოსახერხებელია და ასეთი ჩვევები ბევრ რამეზე მეტყველებს.

დაკავებულმა გამომძიებელი შეათვალიერა და რაც შეიძლებოდა უკან გადაიწია.

– ეგ რატომ გააკეთეთ?

– საწერ-კალამს ხშირად იდებთ პირში?

– და მერე რა?

– ასეთი ჩვევები ბევრ რამეზე მეტყველებს.

•••

მიხოს ცოლი გარდაეცვალა. ხალხი პანაშვიდზე მოდის, მიხო კი არ ჩანს. დაუწყეს ძებნა და ერთ ოთახში ცოლისდასთან წაასწყდნენ სექსის დროს.

– რას აკეთებ, მიხო, შე უნამუსო, სულ გაგიჟდი, – ეუბნება ერთ-ერთი ნათესავი.

– აბა ახლა მე ჭკუა მამეკითხება, – უპასუხა სლუკუნით მიხომ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ბილი ეილიშმა დემნა გვასალიას კაბით იპოზიორა




მოდის მოყვარულთა ჟურნალ „ელლეს“ ოქტომბრის თვის ნომრის ყდაზე მსოფლიოში ცნობილი მომღერალი ბილი ეილიში დაბეჭდეს.

ყველაზე ექსტრავაგანტური და არაორდინარული მომღერალი ჟურნალის ყდისთვის დაგეგმილ ფოტოსესიაზე ქართველი დიზაინერის დემნა გვასალიას კაბით გამოცხადდა.

## ნინო გომართელი აზერბაიჯანულ ფილმში მიიწვიეს

მუსიკისა და დრამის ახალი თეატრის მსახიობი ნინო გომართელი ბაქოში აზერბაიჯანულ ფილმში მონაწილეობისთვის მიიწვიეს.



სცენარის ავტორი და რეჟისორი ვაგიფ მუსტაფაევია.

ქართველ მაყურებელს ახსოვს მისი ერთ-ერთი წარმატებული ფილმი „არამზადა“, რომელშიც მთავარ როლს მამუკა კიკალეიშვილი ასრულებდა. ამ ფილმმა დაიმსახურა „ჩაპლინის ოქროს ლერწამი“ და ვიტორიო დე სიკას ოქროს მედალი.

ახალი ფილმის სამუშაო სახელწოდებაა „ცხოვრება თითქოს კარგია“.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## 70 წლის ქალმა პირველი ბავშვი გააჩინა



ინდოეთის გუჯარათის შტატის მცხოვრებმა 70 წლის ქალმა პირველი ბავშვი გააჩინა. ჯივუნბენ რაბარი და მისი ქმარი, 75 წლის მალდახრი, 45 წელია, ქორწინებაში იმყოფებიან. მათი ყველა მცდელობა, ბავშვი შესძენოდათ, წარუმატებლად მთავრდებოდა, სანამ სპეციალისტებს არ მიმართეს. მათ პირველი შვილი ხელოვნური განაყოფიერების გზით შეეძინათ.

ექიმ ნარეშ ბხანუშალის თქმით, საავადმყოფოს თანამშრომლები ცდილობდნენ აეხსნათ, რომ მათ ასაკში ბავშვის გაჩენა არ შეიძლება, თუმცა ისინი ამას დაჟინებით მოითხოვდნენ.

– მათ განაცხადეს, რომ ბევრი ნათესავი ჰყავთ, რომლებიც ასევე მოიქცეოდნენ, – განაცხადა ექიმმა, – ეს ჩემს სამედიცინო პრაქტიკაში ერთ-ერთი უიშვიათესი შემთხვევაა.

## დათვისთვის სურათის გადაღება ქალს ციხედ დაუჯდა



დათვი გრიზლის ოჯახის შეწუხებისთვის ამერიკელ ქალს ოთხი დღით პატიმრობა და ორი ათასი დოლარის ჯარიმის გადახდა მიესაჯა.

ქალის ცხოველებთან შეხვედრა მიმდინარე წლის 10 მაისს მოხდა. იმ დღეს 25 წლის სამანტა დერინგი იელოუსტონის ეროვნულ პარკში ექსკურსიაზე იმყოფებოდა ტურისტული ჯგუფის შემადგენლობაში. ერთ მომენტში ტურისტები ძუ გრიზლის და მის ორ ბელს გადააწყდნენ. აღსანიშნავია, რომ პარკის დამთვალიერებლებს დათვებთან 91,5 მეტრზე ნაკლებ მანძილზე მიახლოება ეკრძალებათ. ექსკურსიის სხვა მონაწილეები თავიანთ მანქანებთან დაბრუნდნენ, დერინგი კი ამ დროს ცხოველებს აღიზიანებდა და სურათებს უღებდა. ამ დროს ის დათვებისგან 4,5 მეტრის მანძილზე იმყოფებოდა. გოგონა ცხოველებს მხოლოდ მას შემდეგ გამოერიდა, როდესაც ძუ დათვმა მისკენ გაიწია.

აღნიშნული ინციდენტი ვიდეოზე იქნა გადაღებული და სოციალურ ქსელებში განხილვის საგნად იქცა. მას ყურადღება სამართალდამცავებმა მიაქციეს. 6 ოქტომბერს ქალს ველური ბუნების წარმომადგენლებისთვის მყუდროების დარღვევის ბრალდება წარედგინა. გარდა ზემოხსენებული სასჯელისა, დერინგს ერთი წლით იელოუსტონის ეროვნულ პარკში გამოჩენა აეკრძალა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## მეორადების ბაზრობაზე მიზერულ ფასად ნაყიდი ვაზა ათასებად შეაფასეს



მინის ვაზა, რომელიც ამერიკის წყნარი ოკეანის ჩრდილო-დასავლეთ რეგიონში მეორადების ბაზრობაზე 4,99 დოლარად იქნა ნაყიდი, 1902 წლის უიშვიათესი ხელოვნების ნიმუში აღმოჩნდა. ვაზა, შესაძლოა, აუქციონზე ათასობით დოლარად გაიყიდოს.

ამერიკის მრავალეროვნულ აუქციონის სახლში განაცხადეს, რომ აპირებენ, გასაყიდად გამოიტანონ უიშვიათესი ვაზა, რომელიც 1902 წელს ლოეთზის მინის ქარხანაში იქნა დამზადებული ავსტრიელი ფერმწერის კოლომან მოზერის მიერ.

ტვირთების ტრანსპორტირების კომპანიის დირექტორმა სამანტა რობინსონმა განაცხადა, რომ აღნიშნული ვაზა მყიდველმა ნახმარი ნივთების მაღაზიაში აღმოაჩინა. ის 15 ათას დოლარადაა შეფასებული.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



22 ოქტომბრისათვის

**ვერძი** – ხელმძღვანელ პირებთან, საჯარო მოხელეებთან ურთიერთობისათვის შესაფერისი დღეა. ყოველგვარ წინააღმდეგობას დაძლევთ. **კურო** – თავი შეიკავეთ საქმიანი მოლაპარაკებებისაგან. ფინანსებს გაუფრთხილდით. **ტყუპები** – ნეგატიური დღეა. კოლეგებთან და ნათესავებთან ემოციებს ნუ გამოავლენთ. **კირჩხიბი** – მოთმინება დღის დევიზია. ერიდეთ დაუფიქრებელ მოქმედებებსა და მკვეთრ გამონათქვამებს. **ლომი** – საქმიანი შეხვედრები, საბუთების გაფორმება დიდ დროს წაგართმევთ. აქტიურობა არ ღირს. **ქალწული** – სასიცოცხლო პოტენციალი უმაღლეს დონეზეა. პირად ცხოვრებაში ცვლილებებია მოსალოდნელი. **სასწორი** – საკუთარი პოზიციები მტკიცედ დაიცავით. სხვისი გავლენის ქვეშ ნუ მოექცევით. **ღრიანკალი** – დაძაბული დღეა. იფრთხილეთ ყველგან – ქუჩაში, სახლში, სამსახურში. დიდია ტრავმების მიღების ალბათობა. **მშვილდოსანი** – ნაცნობებთან, კოლეგებთან ზომიერება დაიცავით. თავს ემოციების გამოვლენის უფლებას ნუ მისცემთ. **თხის რქა** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. საქმიანი მოლაპარაკებები თქვენ სასარგებლოდ დამთავრდება. **მერწყული** – ნეგატიურ აზრებს გასაქანს ნუ მისცემთ. მშვიდად იმუშავეთ. ენერგია დაზოგეთ. **თევზები** – ფასეულობების გადაფასება მოგიწევთ. მოსალოდნელია კონფლიქტი ან მცირე კამათი გარშემომყოფებთან.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ფრანგული კოსმეტიკური ფირმა; 2. საყანედ გაკაფული ტყის ზოლი; 3. ფრანგული ალუბლის ლიქიორი; 4. კომბინაცია პოკერში; 5. ფირუზისფერი ზღვის ბალახი; 8. პატარა კოტეჯი შვეიცარიის ალპებში; 9. ოჩამჩირის ძველბერძნული სახელწოდება; 10. შეძენილი ჭკუასუსტობა; 12. შტატი აშშ-ში; 13. სატანვარჯიშო იარაღი; 15. სპეციალური მაგიდა სადურგლო სამუშაოებისათვის.

**თარაზულად:** 1. ინფექციური დაავადების საწინააღმდეგო პრეპარატი; 6. ისტორიული რკინიგზის ვაგზალი ლონდონში; 7. მგალობელი ჩიტი; 10. ნადირთა მფარველი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 11. ჰოლივუდის კინორეჟისორი, სცენარისტი, მსახიობი მამაკაცი; 13. რომაელი პოეტი, „ღვთაებრივი კომედიის“ ავტორი; 14. მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება ბიჭვინთაში; 16. გურიაში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 17. ადამიანის დასნებოვნება ცხოველური პარაზიტებით; 18. ავი, ანჩხლი დედაკაცი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

